

საბა

საქართველოს კათოლიკური ეკლესიური მაცნე

№1
იანვარი
2008

გილოცავთ შობას!

ეპისკოპოსის მილოცვა

სამება თივაზე

“და შვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში...” (ლუკ. 2,7-14)

ამ დამით თითოეული ადამიანის გულსა და გონებას ერთი ხატება ავსებს: ესაა უბრალო ჩვრებში გახვეული და თივაში ჩაწვენილი ჩვილი. მოციქულ ლუკას მიერ შემოთავაზებული ეს ხატება წმ. ფრანცისკმა ხელახლა მოგვაწოდა გრეკოს პირველ ცოცხალ საშობაო სურათში და მას შემდეგ ამ ხატებამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს საშობაო გამოსახულებებში; მათ არსეა და ცენტრალურ იდეას წარმოადგენს:

ჩვილი თივაზე.

ამ სურათის წინაშე დღესაც გჩერდებით: ისტორიის 2000 წლის მანძილზე განცდილი ტანჯვისა და იმედის შემდეგ, ნაიარევნი, თუმცა მაინც მომავლისკენ მომზირალნი. ამ დამით ისევ გჩერდებით მდგიმის წინ და ვუმზერთ თივაზე მწოლიარე ჩვილს.

მისი დუმილი და სიმცირე ჩვენგან პასუხებს ითხოვს.

კინ არის თივაზე მწოლიარე ეს ჩვილი?

რისთვის, რატომ, ან, უმჯობესია, გისთვის შევგროვდით ეკლესიაში ამ წმინდა დამეს?

პასუხს წინასწარმეტყველი გვაძლევს, ესაიას ტექსტის მეშვეობით: “რადგან ვაჟი შეგვეძინა ჩვენ, ძე მოგვეცა; და უწოდებენ მას სახელად: საკვირველს, მრჩეველს, ძლიერ ღმერთს, საუკუნო მამას, მთავარს მშვიდობისა” (ებ. 9,1-6).

პასუხს მოციქული პავლეც გვცემს: “ვინაიდან გამოჩნდა ლვთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი” (ტიტ. 2,11-14).

დაბოლოს, თვით სახარება აგვირგვინებს ამ პასუხს ანგელოზთა მეშვეობით: “აჲა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი” (ლუკ. 2,10-11).

აჲა, თივაზე მწოლიარე ეს ჩვილი არის ღმერთი, ემანუელი, ღმერთი-ჩვენთან, ისაა ჩვენი ადამიანურობის საბურველით შემოსილი სამების დიდება.

ესაა ბეთლემი, შობა: სამება თივაზე, სამება ჩვენი ადამიანურობის, ჩემი ცხოვრების თივაზე.

ჩვენი ადამიანურობის თივა: ვფიქრობ ომებზე, შიმშილზე, უსამართლობაზე, სიცოცხლის ჩასახვის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობაზე... ეგოზმზე, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენი ძვირფასი ქვეყნის ცხოვრებაზე, სადაც არ ძალუბთ, ქვეყნის კეთილდღეობა, ღარიბი ადამიანები საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენონ... ვფიქრობ ჩვენს ოჯახებში არსებულ დაყოფასა და სიძულვილზე.. რამდენი რამ თივასავით წარმავალია ჩვენს ცხოვრებაში!

ჩვენი ცხოვრების თივა: ვფიქრობ, თუ რაოდენ მცირედით ვართ მტკიცედ მორწმუნე ქრიტიანები, განუხორციელებელი განზრახვების სახით გამოვლინებულ ჩვენს სისუსტეზე, წამიერი, დღემოკლე სიხარულის ძიებისკენ ჩვენს სწრაფვაზე, იმაზე, როგორ არ ვგრძნობთ თავს პასუხისმგებლებად ჩვენს ეკელსიაზე... რამდენი რამ თივასავით წარმავალია!

შობა: ჩვილი თივაზე.

აქ თითქმის შეშინებულები ვაცნობიერებთ იმ სიყვარულის სიდიადეს, რომელმაც გადალახა მანილი შემოქმედსა და ქმნილებას შორის, გააქრო მიუღებლობის გრძნობა სიწმიდესა და ცოდვას შორის და დმერთს საშუალება მისცა, მიეღო ჩვენი ადამიანურობა, გაეთავისებინა ის და მხოლოდ სიყვარულის უესტის მეშვეობით შემოებიჯებინა ჩვენი ქმნადობის სიფაქიზეში, ჩვენს ტანჯვასა და სიკვდილში.

ამაღამ აქ მყოფებმა შევაჩეროთ ჩვენი ცხოვრება, ერთი წამით, დაუცველი დავტოვოთ ის ამ ჩვილის, თივაზე მწოლიარე ამ სამების წინაშე. თითოეულმა საშუალება მივცეთ ჩვენს დაბნეულ, დანაწევრებულ, დასახიჩრებულ ცხოვრებას, მოუსმინოს ამ დუმილს, შეხედოს ჩვილს თივაზე და იგრძნოს იმ მკლავთა გარემოცვა, არასოდეს რომ არ მიატოვებენ მას, იგრძნოს, რომ ბოლოსდაბოლოს და უბრალოდ ის უყვარო, უზომოდ უყვართ.

ეს ყოველივე თივაზე მწოლიარე ამ ჩვილის, ამ ღმერთისგან მოდის, ვისაც ძალუმს ისეთი შეგიყვაროს, როგორიც ხარ და არაფერს გთხოვს სანაცვლოდ, მხოლოდ იმის შესაძლებლობას, ეს თავისი სიყვარული გამოამჟღავნოს. ამ ღმერთის მიერ შეიძლება იშვას სხვა ცხოვრება, მოულოდნელი გაზაფხული, ქალაქი და კულტურა, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური იქნება.

მმებო, თქვენთან ერთად მეც ვუმზერ იმ თივას, რომელზეც წევს ჩვილი და მასთან ერთად - სამება, ვუმზერ თივას, სადაც ღმერთია, რომელიც ისტორიაში ღმერთის სახლია. ჩემთვის ეს თივა ჩვენს შორის ღმერთის თანხმურების სიმბოლოა: მართლაც, ბეთლეჟი მხოლოდ დასაბამს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს ყოველი დროის ხატებაა, იმის განსახიერება, თუ როგორ განაგრძობს ღმერთი დდეს ჩვენს შორის ყოფნას, თუ როგორ გრძელდება ჩვენს შორის და ჩვენით მისი გზა.

უბრალო თივაზე მწოლიარე ჩვილი კვლავაც ჩვენი ახალი შობის მშვენება და უმწიკვლო გაოცება.

ყველას ბედნიერ შობას გისურვებთ!

ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი ამიერკავკასიაში,
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

რედაქციის გვერდი

საშობაო ფიქრები საერთო სიკეთის გამო

ქათოლიკე ეკლესიის სოციალურ სწავლებაში მუდმივ პრინციპთა შორის მოაზრება საერთო სიკეთე; იგი ყველა ადამიანის ღირსებიდან, ერთობიდან და თანასწორობიდან გამომდინარეობს და მას უკავშირდება სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტი.

მაინც რას წარმოადგენს საერთო სიკეთე? ვატიკანის II პრება შემდეგ განმარტებას იძლევა: „სოციალური ცხოვრების პირობათა ერთობლიობა, რომლებიც საშუალებას აძლევენ როგორც ჯგუფებს, ასევე მის ცალკეულ წევრებს, საკუთარ სრულყოფილებას უფრო სრული და უფრო შესაფერისი გზით

მიაღწიონ... იგი არ მდგომარეობს ხოციალური სხეულის ცალკეული სუბიექტებიდან განსაკუთრებული ქონების დაგროვებაში. რამდენადაც იგი ეკუთვნის ყველას და ცალკეულს, არის და ოჩება საერთოდ, რამეთუ გაუთიშავია და მხოლოდ ერთად არის შესაძლებელი მისი მიღწევა, ზრდა და დაცვა, სამომავლო მიზნითაც“ (GS 26). როგორც ცალკეული ადამიანის მორალური ქმედება შეისხამს ხორცს სიკეთის ქმედებით, ასევე აღწევს სოციალური ქმედება თავის სისრულეს საერთო სიკეთის ხორცშესხმით. თუ ჩვენ საერთო სიკეთებზე დავიკირდებით, მრავალ სირთულეს დავინახავთ და მრავალი კითხვაც დაისმის: რა სრულყოფილებას უნდა მიაღწიოს ცალკეულმა პირმა ან ჯგუფმა? მის მიღწევას რა პირობები უწყობს ხელს? ვინ უნდა შეასრულოს? შეიძლება თუ არა საერთო სიკეთის მისაღწევად ვინმეს სიკეთე იყოს მსხვერპლად გაღებული?

საერთო სიკეთის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისობა სიკეთესა და ფასეულობათა შორის, რომლებიც ხორცს ასხამენ მოთხოვნილებას მის ზრდაზე და სრულყოფილებაზე, რასაც წარმოადგენს ადამიანი ან უნდა წარმოადგენდეს მოელი მისი არსებით. სამწუხაროდ, დღეს სწორედ ამგვარი შესაბამისობის უკმარისობაა: მავანთათვის ადამიანი ხორცით შემოსილი სულიერი არსებაა, მავანთათვის – მხოლოდ სხეული; ზოგი ფიქრობს, რომ ადამიანს მარტოოდენ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები აკმაყოფილებს, ზოგისთვის - მხოლოდ მატერული. ზოგი მიიჩნევს, რომ მას „უზენააქსი“ დირსება გააჩნია, სხვანი თვლიან, რომ დირსება დამოკიდებულია ასაკზე, ჯანმრთელობაზე, ფენაზე, რასაზე, განათლებაზე... ზოგიერთი აღიარებს, რომ არსებობს ადამიანის გულში ჩაწერილი კანონი, ზოგი მხოლოდ სამოქალაქო, ეკონომიკურ კანონებს აღიარებს, სხვებისთვის კი ერთადერთ კანონად მაქსიმალური მოგება, თვითკმაყოფილება ქცეულა...

და აი, ამ კონტექსტში, მართლაც რთულია ხორცი შეასხა საერთო სიკეთეს, რომელიც ასევე გულისხმობს მშვიდობის დამყარებას, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე მოელს საერთაშორისო ასპარეზზე, სოციალური სამართლიანობის აგებას, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ბარიერების აღმოფხვრით, რომლებიც არასახარბიელო და დამამცირებელ სიტუაციებს ქმნიან, მდგომარეობს ასევე ოჯახის აგებაში „სათანადო რესურსების და ეფექტური მხარდაჭერი იარაღების გამოყოფით, როგორც შვილთა აღზრდაში, ასევე მოხუცებულთა ზრუნვაში“ (*Centesimus annus*, 49), ისე რომ, არაფერი მოაკლდეს ყველაზე დაუცველის დირსებას.

ამასთან დაკავშირებით, თუ ამ ქვეყანაში ბევრი ნაბიჯი იდგმება სახელმწიფო აპარატის, ჯარის (რომ შემდეგ სხვებს ეომონ!) თანამედროვე ფორმებით აღჭურვის საქმეში, ინფრასტრუქტურებში: გზების შეკეთება, საავადმყოფოების, სკოლების აგება-გარემონტება, სინათლის, წყლის, გაზის მომარაგება, რაც ყველას თვალში აღტაცებას იწვევს, მაინც აქტუალურია კითხვა: საერთო სიკეთის ძიება ყველა ადამიანის სასარგებლოდ ხდება თუ მხოლოდ რომელიმე სახელმწიფო იდეის სასიკეთოდ... მაშინ, როდესაც მრავალი მოხუცისთვის ჯერ კიდევ გაუსაძლისია ცხოვრება, მრავალი ახალგაზრდისთვის განათლების საუკეთესო დონის მიღწევა, მრავალი მოქალაქისთვის სამუშაოს აღვილის პოვნა, ემიგრაციაზე ფიქრის გარეშე? ნუთუ საერთო სიკეთის ძებნა ნამდვილად ისაა, როცა მდიდრულ სასტუმროებს აგებ ტურისტებისა და ინვესტორების მოსაზიდად... და არ ფიქრობ, რომ ყველას გააჩნდეს საკუთარი სახლი, თუნდაც პატარა, მაგრამ დირსეული? ნამდვილად საერთო სიკეთის ძებნა ხდება, თუკი საავამდყოფოები იგება და შემდეგ მისით სარგებლობა ცოტას თუ შეუძლია?

საერთო სიკეთის მიზნით ყველანი უნდა თანამშრომლობდნენ, ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა საზოგადოების, მისი კეთიდლდების აგების

საქმეში. მაგრამ როდესაც ზოგიერთი კატეგორია პირდაპირ ან ირიბად გვერდზე ირიყება, მაგალითად, მისი რწმენის გამო, უფლება აქვს ამ საზოგადოებას განაცხადოს, რომ უველას სიკეთისთვის იღვწის? თუ დღეს ევროპაში ცდილობენ, რომ ქრისტიანები საჯარო ცხოვრებას მოარიდონ, ხოლო საქართველოში პირიქით, ცდილობენ კაგშირები მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთ „ქრისტიანთან“ გააბან და უარყონ უველა, ვინც არ არის ქართველი მართლმადიდებელი, მაშინ ძალზე გაჭირდება ისეთი საზოგადოების აგება, სადაც უველა მოქალაქე როგორც ევროპის, ასევე საქართველოსი, საკუთარი რწმენის მიუხედავად, როგორც შინ ისე იგრძნობს თავს და ამ გზით საერთო სიკეთის ან სუბიექტად ან ობიექტად იქცევა.

პირველი იანგარი მშვიდობის დღეცაა, ამ დღის თემაა „ჰუმანური ოჯახი, მშვიდობის საკრებულო“. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ თუკი დღეს ერთსულოვნად აღიარებენ სამშვიდობო პრინციპებს, სამართლის, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში, თუ უველას გააჩნია პოლიტიკური, სოციალური და პულტურული უფლებები, იმ ქვეყნებში, რომლებიც საომარ მდგომარეობაში არიან, საერთო სიკეთის მიღწევის აუცილებელ პირობად მაინც რჩება ძალადობა, ტერორიზმი, დაბალგანვითარება, შიმშილობა და შიდსი! და რა შორს დგას საერთო სიკეთის მიღწევის პროცესი გამალებული შეირადებიდან, უფრო და უფრო სოფისტიკური ფორმების ძიებიდან, სასამართლოებში სამართლის არარსებობიდან, ისეთი საგულისხმო პოლიტიკური და ეთიკური პრობლემებიდან, როგორიცაა საზოგადოების ცხოვრებაში თავისუფლების, რელიგიის როლის გაცნობიერება, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული, ოჯახი და ქორწინება!

ქრისტიანები შობის უწყებით ახარებენ, რომ იესო – ძე ღმრთისა უველასთვის იქმნა კაცად, და არა მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის, ზოგიერთი ასპექტის გამო; ადამიანი მთელი თავისი არსებით არის ღმრთის სიყვარულის ობიექტი, და მით უფრო ღმრთის ძის მოვლინების ღირსი.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ბენედიქტე XVI-ის მეორე ენციკლიკა

30 ნოემბერს ვატიკანში გამოქვეყნდა ბენედიქტე XVI-ის მეორე ენციკლიკა „*Spe Salvi*“ (“სასოებით ხსნილნი”).

აი, რამდენიმე ფრაგმენტი ენციკლიკიდან:

“აწყო, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს იგი, შეიძლება მივიღოთ და დავძლიოთ, თუკი მას მიზნისკენ მივყავართ, თუკი დარწმუნებულნი ვართ ამ მიზანში და ეს მიზანი საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ ძალისხმევა გაამართლოს”.

“ქრისტიანობასა და სასოების მისეულ გაგებასთან დიალოგში თანამედროვეობა თვითკრიტიკას საჭიროებს. ამ დიალოგში ქრისტიანებმაც, მათი ცოდნისა და გამოცდილების კონტექსტში, ხელახლა უნდა გამოიკვლიონ, რაში მდგომარეობს სინამდვილეში მათი სასოება, რისი შეთავაზება შეუძლიათ მსოფლიოსთვის და რისი შეთავაზება არ შეუძლიათ”.

“გონება და რწმენა საჭიროებენ ერთმანეთს, რათა განხორციელდეს მათი ჭეშმარიტი ბუნება და მისია”.

“გაიღო ღროის, მომავლის ბნელი კარი. ვისაც სასოება აქვს, სხვაგვარად ცხოვრობს; ვისაც სასოება აქვს, მან ახალი ცხოვრების ნიჭი მიიღო”.

ვატიკანის პრეს ოფიციალური მუნიციპალური წარადგინებული კარდინალებმა უორე მარი მარტენ კოტიემ და ალბერ ვანიომ.

ბენედიქტე XVI-ის პონტიფიკატის მეორე კონსისტორია

24 ნოემბერს კონსისტორიაზე პაპმა კარდინალის ხარისხში აღიყვანა რომის კათოლიკურ ეკლესიის 23 იერარქი 14 ქვეყნიდან. ეს ქვეყნებია: იტალია, ესპანეთი, არგენტინა, აშშ, მექსიკა, ერაყი, გერმანია, პოლონეთი, ირლანდია, საფრანგეთი, სენეგალი, ინდოეთი, ბრაზილია და კენია. ძლიერი წვიმის გამო კონსისტორია არა წმიდა პეტრეს მოედანზე, არამედ ბაზილიკაში ჩატარდა.

“იყავით მოციქულები ღმრთისა, რომელიც არის სიყვარული, და მოწმენი სახაბისეული სასოებისა. ამას ედის თქვენგან მთელი საქრისტიანო”; “არა ძალაუფლებისა და წარმატებისკენ სწრაფვა, არამედ მორჩილი თავგანწირვა ეკლესიის კეთილდღეობისთვის უნდა ახლდეს თქვენს ყოველ მოქმედებასა და ყოველ სიტყვას, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანული სიდიადე არა ძალაუფლებაში, არამედ მსახურებაშია,” – მიმართა ბენედიქტე XVI-მ ახალ კარდინალებს.

ქალწულ მარიამის უმანკო ჩასახვის დღესასწაული

8 დეკემბერს, როდესაც კათოლიკურ ეკლესია ქალწულ მარიამის უმანკო ჩასახვის დღესასწაულს აღნიშნავს, პაპმა ესპანეთის მოედანზე ტრადიციული ლოცვა აღავლინა. ამ მოედნის ცენტრში კოლონაზე აღმართულია ღმრთისმშობლის ქანდაკება, რომელიც ტრადიციულად ყვავილებით შეამკეს. მოედანზე პაპს შეხვდნენ კარდინალი კამილო რუინი და იტალიის დედაქალაქის მერი ვალტერ ველტრონი.

ამავე დღეს საზეიმო წირვით ლურდში ღმრთისმშობლის გამოცხადების 150 წლისთავის აღნიშვნა დაიწყო. განსაკუთრებული დღეა 8 დეკემბერი ლიონელებისთვისაც, რომლებიც ამ დღეს ქალწულ მარიამისადმი მიძღვნილ “ნათლის დღესასწაულს” ზეიმობენ. ლოცვის შემდეგ პაპმა ფრანგულ ენაზე მიმართა ლურდში შეკრებილ მომლოცველებსა და ლიონის მკვიდრო.

ლურდში ღმრთისმშობლის გამოცხადების 150 წლისთავთან დაკავშირებით ვატიკანმა გამოსცა დეკრეტი სრული ინდულგენციის შესახებ.

ბართლომე I: ჩვენთვის რთული არ იქნება, თავი მეორეებად ვაღიაროთ

სოფიაში ოფიციალური ვიზიტის დროს კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა ბართლომე I-მა ინტერვიუ მისცა ბულგარეთის სახელმწიფო ტელევიზიას. საუბარი შეეხო კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შეხვედრას რავენაში და ამ შეხვედრაზე მიღებულ ერთობლივ დოკუმენტს.

“ჩვენ, მართლმადიდებელები... დარწმუნებული ვართ, რომ ეკლესიის არსებობის პირველ ათასწლეულში, გაუმიჯნავი ეკლესიის ხანაში, აღიარებული იყო რომის ეპისკოპოსის, პაპის პირველობა. თუმცა ეს საპატიო პირველობა იყო, პირველობა სიყვარულისა, და არ გულისხმობდა მთელი ქრისტიანული ეკლესიის იურიდიულ მეთაურობას”. პატრიარქი აღნიშნავს, რომ ეს ადამიანური დონის პირველობაა და დაწესებული იყო იმიტომ, რომ ეკლესია მეთაურსა და საკოორდინაციო ცენტრს საჭიროებდა. ეს პირველობა არ წარმოადგენს ღმრთაებრივ უფლებას, რომელიც ქრისტემ პეტრე მოციქულს უბოძა. რომის ეპისკოპოსის პირველობის ამგვარ გაგებას ქრისტიანული აღმოსავლეთი არასდროს იზიარებდა. ახლა კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა დიალოგის

მთავარი თემაა რომის პაპის ადგილი მთლიანი ეკლესიის სტრუქტურაში – როგორია მისი როლი, ძალაუფლება და უფლებამოსილება. “ჩვენ, მართლმადიდებლები, მზად ვართ მივიღოთ რომის პირველობა იმ სახით, როგორიც იყო იგი პირველ ათასწლეულში”.

პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ გამიჯვნამდე კონსტანტინოპოლის ეკლესია მეორე იყო რომის კათედრის შემდეგ. განხეთქილების შემდეგ მართლმადიდებელ სამყაროში პირველობა კონსტანტინოპოლის ერგო. “თუკი ჩვენ, დმრთის შეწევნით, თანხმობას მივაღწევთ კათოლიკე ეკლესიასთან და მივიღებთ ტერმინ “პირველობას” იმ გაგებით, როგორიც მას პირველ ათასწლეულში ჰქონდა, მსოფლიო პატრიარქისათვის არ იქნება რთული, აღიაროს რომის კათედრის პირველობა და დაიკავოს მეორე ადგილი, რომელიც მას გამიჯვნამდე ეკავა,” – განაცხადა ბართლომე I-მა.

კარდინალ ვალტერ კასპერის მოხსენება

ბერედიქტე XVI-ისა და 143 კარდინალის წინაშე გამოსვლისას ქრისტიანული ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს თავმჯდომარებ კარდინალმა ვალტერ კასპერმა აღნიშნა, რომ “ეკუმენური დიალოგი მომწიფდა”. “დღეს ეკუმენიზმი გახდა ყოფითი სინამდვილე, რომელიც აღიქმება როგორც სრულიად ჩვეული რამ ეკლესიის ცხოვრებაში,” – განაცხადა იერარქმა.

კარდინალმა ასევე აღნიშნა, რომ შერეული საღმრთოსმეტყველო კომისიის სხდომა რავენაში ეკუმენური დიალოგის მნიშვნელოვანი მიღწევაა. “ყველა მონაწილე აცნობიერებს, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და სრულ ერთობამდე გრძელი და მძიმე გზაა გასავლელი”.

რავენაში შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტით დიალოგის გადამწყვეტი მოქმედი აღინიშნა, რადგან “მართლმადიდებელმა მონაწილეებმა პირველად აღიარეს, რომ საყოველთაო დონეზე ეკლესიას ჰყავს Protos – პირველმოძღვარი, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ რომის ეპისკოპოსი”.

“ბოლო წლების განმავლობაში ურთიერთობა მოსკოვის საპატრიარქოსთან საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნებოდა ბენედიქტე XVI-ისა და მოსკოვის პატრიარქის შეხვედრა”.

პროტესტანტებთან დიალოგში განხდა “ახალი უთანხმოები ეთიკის სფეროში”, კერძოდ “სიცოცხლის დაცვის, ქორწინების, ოჯახისა და სექსის საკითხებში”. “ამ ახალი თხრილების გამო კათოლიკებისა და პროტესტანტების ერთობლივი მოწმობა ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება”, – აღნიშნა იერარქმა.

დავიცვათ ყოველი მორწმუნის რელიგიური თავისუფლება

29 ნოემბერს, ეუთოს მინისტრთა მე-15 საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოს სახელმწიფოებთან ურთიერთობების განყოფილების მდივანი მთავარეპისკოპოსი დომინიკ მამბერტი.

“ეუთო... ეფექტურად უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციასა და შეუწინარებლობას ქრისტიანთა, ებრაელთა, მუსლიმთა და სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ. ეს საკითხი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თემა გახდა. რელიგიური დისკრიმინაციის დაძლევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ყველა რელიგია თანაბრადაა პატიცემული და დაცული... ჩვენ არ უნდა ამოვეფაროთ “კონსენსუსის” პრინციპს, რათა თავი ავარიდოთ აქტიურ მოქმედებას. ამასთანავე არ უნდა დავჯერდეთ ზოგად მსჯელობას. კონსენსუსი უნდა გახდეს კატალიზატორი მოქმედებისთვის, რათა დავიცვათ ძირითადი თავისუფლები და უპირველესად რელიგიური თავისუფლება ყოველი მორწმუნისა და ყოველი რელიგიური გაერთიანებისა,” – განაცხადა მან.

დასრულდა სიმპოზიუმი “ადამიანის განვითობა”

ნოემბერში, წმიდა ოთანეს უძველეს მონასტერში, კალაბრიაში, ჩატარდა სიმპოზიუმი თემაზე “ადამიანის განვითობა”. სიმპოზიუმს ესწრებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეგზარქოსი სამხრეთ ევროპაში მიტროპოლიტი გენადი. შეხვედრა ორგანიზებული იყო წმიდა ოთანეს სახელობის მონასტერის ბერთა დასისა და ათონის წმიდა პავლესა და წმიდა გრიგოლის მონასტერთა ასიციაციის “მართლმადიდებელი მოწმობის” მიერ, პატრიარქ ბართლომე I-ის ხელშეწყობით. სიმპოზიუმი აღმოსავლეთის ეკლესიის წმიდა მამათა მემკვიდრეობის საღმრთოსმეტყველო და მოძღვრებითი ასპექტების შესწავლას მიეძღვნა. სიმპოზიუმი გახდა ასევე საბაბი იტალიისა და ბერძნული მართლმადიდებლობისა და მისი ცენტრის, კონსტანტინოპოლის მჭიდრო ათასწლოვანი კავშირების წარმოსაჩენად.

ლაპორის საკათედრო ტაძრის ასი წლისთავი

ნოემბერში პაკისტანში ლაპორის საკათედრო ტაძრის აგების ასი წლისთავი აღინიშნა. ამ ტაძრის აგება გახდა “მნიშვნელოვანი მოვლენა ამ ქვეყნის კათოლიკე მრევლისთვის, – აღნიშნა წმიდა საყდრის დესანმა პაკისტანში ადოლფო ტიტო ილანამ, – ამ ქვებთან ერთად სულიერი ტაძარიც აღიმართებოდა – ქრისტეს ეკლესია”. საზეიმო წირვა ლაპორის მთავარეპისკოპოსმა ლოურენს ჯონ სალდანამ აღავლინა. წირვას ესწრებოდნენ პაკისტანისა და ინდოეთის ეპისკოპოსები. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბენედიქტე XVI-მ მილოცვა გაუგზავნა ადგილობრივ მრევლს, პაკისტანის მთავრობამ კი საიუბილეო მარკა გამოუშვა. ეროვნულმა ფოსტამ გამოსცა ილუსტრირებული ბროშურა, რომელშიც ლაპორის ტაძრის ისტორიაა გადმოცემული. ტაძრის აგების ინიციატორი კაპუცინელი ეპისკოპოსი გოდვრი პელკემანის იყო. ტაძრის პროექტი ბელგიუმ არქიტექტორს დუბელირეს ეპუთვნის.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

გიორგობა უდეში

უკვე ორი წელია, რაც უდეს წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო სახლი 23 ნოემბერს, მთელს ქრისტიანულ სამყაროსთან ერთად წმ. გიორგის დღესასწაულს აღნიშნავს.

2007 წლის 23 ნოემბერიც დიდი ზეიმით აღნიშნა უდეს წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო სახლის მრევლმა. სამლოცველოში შეკრებილი უამრავი კათოლიკე მრევლი და ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული მომლოცველები დიდი სიყვარულით შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს: ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, კამილელებს, მამა ნინოს, მამა ზიგმუნდს, მამა აკაკის, მამა პავლეს; ასევე, კამილელ მონაზვნებს, დედა ტერეზას დებს, წმ. ელისაბედის დებს; სომხური წესის მდვდლებს, მამა სედრაკს, მამა პოლოსს, მამა ანდრეის, მამა პედროსს; ჩვენთან ერთად ამ დღეს ზემობდნენ აგრეთვე, მმა რობერტო და „წმ. კამილოს საერო ოჯახის“ წარმომადგენლები და სტუმრები იტალიიდან.

ქადაგებაში მამა ჯუზეპე აღნიშნა, რომ მიუხედავად მრავალი წამებისა, ვერ გატეხეს და ვერ შეარყიეს წმ. გიორგის რწმენა. ამ წმიდანის მსგავსად, ჩვენც, ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ურყევად უნდა დავიცვათ

ჩვენი რწმენა. ეპისკოპოსმა, ასევე, გვთხოვა, რომ გველოცა მამა იუჟისათვის (ქართულად გიორგი), რადგანაც ეს მისი დღესასწაულიცაა.

აღსანიშნავია, რომ წირვის მსვლელობას იღებდნენ ადგილობრივი ტელევიზიის მე-9 არხის ურნალისტები. ისინი ესაუბრნენ მამა აკაკი ჭელიძეს და შურნალ „საბას“ ადგილობრივ კორესპონდენტებს.

წირვის ბოლოს გაიმართა კონცერტი საკრებულოს ბავშვების მონაწილეობით, რომლებმაც შესანიშნავად წაიკითხეს რელიგიურ თემებზე დაწერილი ლექსები, ასევე, შეასრულეს გალობები. ზეიმმა სადღესასწაულო სუფრაზე გადაინაცვლა, სადაც სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილებები, სურვილები და შთაბეჭდილებები.

მარინა აღლემაშვილი
უდე

ზეიმი ქუთაისში

ქუთაისის ღმრთისმშობლის უმანქოდ ჩასახვის ეკლესის მრევლს მრავალი მეგობარი ჰყავს, არა მარტო ქუთაისში, არამედ საქართველოს მასშტაბით. ეს მეგობრობა გამოიხატება არა ზოგადად, არამედ სხვადასხვა კონკრეტულ სფეროში: კულტურა, განათლება, ურნალისტიკა, მედიცინა, სამართალი და სხვ.

ქუთაისის კათოლიკური ეკლესის, რომელიც დღეს ხარების ეკლესის სახელს ატარებს, კურთხევა 1862 წლის ნოემბერში აღესრულა, ეკლესის სახელობის ზეიმი კი – 8 დეკემბერს, წმიდა მარიამის უმანქოდ ჩასახვის დღესასწაულზე.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და დღეს, სავალალოდ, ეს ეკლესია უკვე აღარ ეკუთვნის კათოლიკებს. უკვე რამდენი წელია წმიდა წირვები სამლოცველო სახლში აღევლინება და, ბუნებრივია, დღესასწაულიც აქვე აღინიშნება.

სუსხიანი დილა გათენდა 2007 წლის 8 დეკემბერს, მაგრამ ამას მრევლისათვის ხელი არ შეუშლია და დილის 10 საათიდან მრავლად შეიკრიბნენ საზეიმო წირვისათვის. დღესასწაულს, როგორც ყოველთვის, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტოც ესწრებოდა წმ. ნინოს კონგრეგაციის სამ მონაზონთან ერთად.

ეკლესია საზეიმოდ იყო მორთული, ყველა ფუსფუსებდა და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა დღესასწაულში. განსაკუთრებული აღელვება მასპინძლებს, მამა გაბრიელებს, მამა ლუიჯისა და მამა კარლოს ეტყობოდათ, ასევე მონაზვნებს: ლორედანას, უოზეფინასა და ანა მარიას.

წირვის დაწყების წინ, მამა გაბრიელებ ბრაგანტინი და მრევლის წევრები ყოფილი კათოლიკური ეკლესიისაკენ გაემართნენ. ეკლესიაში ღმრთისმშობლის ქანდაკების წინ აღესრულა ლოცვები, გალობები, წაიკითხეს სავარდის ლოცვა. შემდეგ მრევლი ეკლესიაში დაბრუნდა და წმ. წირვაც დაიწყო. წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა.

წირვის დამთავრების შემდეგ, ყველანი ბავშვთა ცენტრისაპერ გაემართნენ, სადაც ცენტრის მასპინძლები ელოდნენ. აღსანიშნავია, რომ მასპინძლობას, როგორც ყოველთვის, შესანიშნავად გაართვეს თავი ჯონი ჯანიომ და ცენტრის დირექტორმა ლევან ბეგიშვილმა. ასევე, ნინო უდენგმა, ნანა მიზანდარმა, რუსუდან ნემისიწვერიძემ, ნანა ნებიერიძემ, ლალი ჩარკვიანმა. აქ საზეიმო სუფრასთან გაგრძელდა ეკლესიის დღესასწაული. ირგვლივ სასიამოვნო მუსიკისა და სიმღერის პანგები ისმოდა. კომპოზიტორმა ვასო კოკელაძემ, პიანინოზე შესანიშნავად შეასრულა დოდო გაბრიჩიძის ლექსზე – „ლოცვა“ – დაწერილი სიმღერა. სიმღერას მოჰყვა ლექსი, ცეკვა. ისმოდა გიტარის

გულშიჩამწვდომი პანგები, რომელსაც დიდი ოსტატობით ასრულებდა ჯონი გელენიძე.

შეხვედრა იმ იმედით დასრულდა, რომ ქრისტეს ნათელით გასხივოსნებული და-ეკლესიები შეძლებენ იმ ქრისტიანულ ფორმაზე შეთანხმებას, რაც ქ. სიბიუში III ეკუმენურ ასამბლეაზე წამოიჭრა და რისკენაც მივიღობვით დღეს, უწინარესად იმიტომ, რომ დღეს ძირითად დაბრკოლებად გვესახება ქრისტიანული ეკლესიების განსხვავებული შეხედულება ეკუმენური მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე.

ვსარგებლობ შემთხვევით და, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლის სახელით მადლობას ვუხდით ქუთათელ მიტროპოლიტს, მეუფე კალისტრატეს, რადგანაც შესაძლებლობა მოგვეცა გველოცა ყოფილ კათოლიკურ ეკლესიაში

დოდო ნებიერიძე-გაბრიელი

მდგდლად ხელდასხმა წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში

2007 წლის 21 ნოემბერს, თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში საქართველოს კათოლიკების, ქერძოდ კი, თბილისში მცხოვრები სომხური წესის კათოლიკეთა ცხოვრებაში, მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა: მამა ემანუელისა და მონაზონ სილვიას დვაწლმა თავისი ნაყოფი გამოიღო – სომხურმა საკრებულომ გამოზარდა ლირსეული მდგდელი, მიხეილ ხაჩიალიანი.

თავისი ამ მოწოდების განსახორციელებლად მიშა რამდენიმე წლის განმავლობაში გულმოდგინედ ემზადებოდა. მას ამ მნიშვნელოვანი მისიის განსახორციელებლად განსაკუთრებული მზრუნველობა გაუწიეს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზორმ, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ, მამა პიერმა, მამა ადამმა, მამა მაურომ და სხვებმა; უფალმაც შეისმინა მრავალი ადამიანის ლოცვა და მიშას თხოვნანი.

მიშა ყოველთვის გამოირჩეოდა ადამიანების მიმართ მზრუნველობით, გაჭირვების ჟამს ის მუდამ მხარში ედგა გარშემომყოფებს, სიყვარულსა და პატივისცემას იწვევდა მეგობრებში და უცხო ადამიანებშიც კი. ის ნიჭიერებით და სწავლის წყურვილითაც გამოირჩეოდა სხვათაგან და მის მასწავლებლებში განსაკუთრებულ პატივისცემას იწვევდა. ღმერთმა იცის, ვინ აირჩიოს მომქინალეობა სამსახურისათვის და, ალბათ, მიშაც ღმრთის ერთ-ერთი რჩეულია. მადლობა ღმერთს ამისათვის!

მიშას ხელდასხმა აღასრულა ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სომხური წესის კათოლიკეთა წინამდგვარმა, მთავარეპისკოპოსმა ნიშან კარაჭევიანმა. მდგდლად ხელდასხმის ცერემონიალს ესწრებოდნენ: წმ. საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, მამა პიერ დიუმულენი, მამა იეჟი პილუსი, მამა ადამ ოხალი, მამა ანდრეი გრაჩეკი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მამა კარლო დი სტეფანო, მამა ვლადიმირ აქსენტიევი და მრევლის სხვა მდგდლები, სომხური და ლათინური წესის კათოლიკურ საკრებულოთა წევრები, მიშას ახლობლები და სტუმრები სომხეთიდან და იტალიიდან. ადსანიშნავია, რომ მამა მაურო ბოცოლა საკვიალურად ჩამოვიდა იტალიიდან მიშას ხელდასხმაზე დასასწრებად, როგორც მისი ყოფილი მასწავლებელი და მეგობარი.

წირვა აღესრულებოდა სომხური გუნდის ბრწყინვალე თანხლებით. გუნდს ბატონი ვილი გრიგორიანი ხელმძღვანელობდა, ეს კი გუნდის პროფესიონალიზმზე მეტყველებს და კომენტარს აღარ საჭიროებს. ცნობილია, რომ სომხური წესის კათოლიკეთა წირვის დროს ასრულებენ ორი ცნობილი

სომები კომპოზიტორის საგალობლებს (კომიტასის – მამაკაცთა და ეპმალიანის – ქალთა გუნდისათვის).

ეს დიდებული წირვა, რომელიც თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა, ამაღლვებელი მომენტი იყო მრევლის წევრებისათვის, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ იმ წუთს, როდესაც მიულოცავდნენ ახალ ხელდასხმულ მღვდელს.

როგორც ცხობილია, კათოლიკე ეკლესია აერთიანებს სხვადასხვა ეროვნებისა და წეს-ჩვეულების ადამიანებს. ამ დღესაც წირვას ესწრებოდნენ სხვადასხვა კონფესიისა და ერის წარმომადგენლები: ქართველები, იტალიელები, პოლონელები, ფრანგები, რუსები, სომხები, ასირიელები, უკრაინელები, გერმანელები, ლიტველები და სხვ. კათოლიკე ეკლესიის ეს ფენომენი განსაკუთრებული ნიშანია მისი უნივერსალობისა, სადაც ყველა გაერთიანებულია არა ეროვნულობის, არამედ სარწმუნოების ნიშნით, როდესაც ღმერთი გვინერგავს ჭეშმარიტ სიყვარულსა და ერთიანობას, როდესაც ღმრთის შვილებს უყვართ ერთმანეთი, განურჩევლად ეროვნებისა, ისე, როგორც გვასწავლის ჩვენი მხესნელი – უფალი იესო ქრისტე „რათა ყველანი ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამავ, მე კი – შენში, რათა ისინიც იყვენენ ჩვენში“ (იოან. 17, 21).

გულშიჩამწვდომი სიტყვებით დამოდგრა ეპისკოპოსმა ნიშან კარაქეპეიანმა მამა მიხეილი და განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მღვდლობის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას.

წირვის დასასრულს მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. ყველა ცდილობდა თავისი სურვილები და მილოცვა პირადად მიეძღვნა მამა მიხეილისათვის. ჩვენც ვუერთდებით ამ მოლოცვებს და მამა მიხეილს ვაბარებთ ქალწულ მარიამს, რათა იყოს მისი მფარველი და ატაროს იგი მისი შვილის – იესო ქრისტეს გზაზე ხანგრძლივი და წმიდა სამსახურისათვის, ღმრთის სადიდებლად და ჩვენი სულების გადასარჩენად.

მჰერ კოჩინიანი

ეპუმენური გვერდი

კარდინალი გალტერ კახაერი

ქრისტეს ნათელი და ეკლესია

III ევროპული ეპუმენური ასამბლეის თემა „ქრისტეს ნათელი ყველას ანათებეს!“, ზუსტად მოერგო ქალაქ სიბიუს. აქ, ტრანსილვანიაში, საუგუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრობენ უნგრელები, რუმინელები, მართლმადიდებლები, კათოლიკები, ბერძენი-კათოლიკები და უვანგელისტები. ამ ქვეყანაში აისახება ევროპული სულისკვეთების და ეპუმენური ხასიათის ყველა პრობლემა.

ამაოდ არ გამოცხადებულა 2007 წელს ქ. სიბიუ ევროპის კულტურის დედაქალაქად.

ამ რეგიონის ისტორია აჩვენებს, რომ თემა „ქრისტეს ნათელი ანათებს ყველას“ სრულებით არ არის იოლად მოსახელებელი საკვები; პირიქით, ზოგ შემთხვევაში, მრავალ კითხვას ბადებს და ეს კითხვები, არცთუ იშვიათად, ურთიერთგამორიცხველია. ნამდვილად ანათებს ქრისტეს ნათელი ყველას, თუნდაც არა ქრისტიანებს, ან თუნდაც მუსლიმებს? ნუთუ მათაც ანათებს, ვინც არაფერი იცის იესო ქრისტეზე, და ადამიანთა არც თუ იმ მცირე რიცხვს, რომლებსაც დღევანდებ ევროპაში, მართალია სმენიათ მასზე, მაინც უარყოფენ მასზე უწყებას; ან მათ, ვინც ბიბლიის მოშველიებით თუ ვიტყვი, ნათელს ბნელი არჩიეს (იოან 3,19)? ნუთუ მათაც ანათებს, ვინც დევნის ქრისტეს და ვისაც მისი სწამეს?

საუბარია სრულიად მარტივ და მით უფრო ნაკლებად, სიცრუეს მოკლებულ თემატიკაზე. მიუხედავად ამისა, ეს არ გახლავთ ის არგუმენტი, რომელიც რომელიმე მახვილგონიერმა ეკუმენურმა კომისიაში გამოიგონა; ეს უპირველესად ეხება იოანეს სახარების პროლოგიდან ამოღებულ ციტირებას. ამ ნაწყვეტში საუბარია ჭეშმარიტ ნათელზე, რომელიც ყოველ ადამიანს ანათებს და რომელიც იესო ქრისტეს მეშვეობით საბოლოოდ დამკვიდრდა წუთისოფელში (იოან. 1,9).

ეს იესომ უწოდა თავის თავს წუთისოფელის ნათელი (იოან. 8, 12). გამომდინარე აქედან, შემოთავაზებული თემა „ქრისტეს ნათელი და ეკლესია“ უნდა შევცვალოთ ასე „ქრისტეს ნათელი და წუთისოფელი“.

ამგვარად, ჩვენი თემატიკით შეურყეველ ბიბლიურ ნიადაგზე ვიმოძრავებდით, უფრო მეტიც, დავამატებდი: საერთო მყარ ნიადაგზე ვიმოძრავებდით. იმის საპირისპიროდ, რაც მართლმადიდებლებს, ევანგელისტებსა და კათოლიკებს განასხვავებს, იესო ქრისტეს რწმენა გვაერთიანებს.

როგორც ქრისტიანები, ერთად ვაღიარებთ, რომ იესო ქრისტეს მიერ მოგვენიჭა სიცოცხლის ნათელი, და ეს ნათელი გაიბრტყინებს ჩვენს საერთო ნათლობაში, რაც ეკლესის მამებმა განსაზღვრეს გასხივოსნებად (photismos). ჩვენი რწმენით ერთად ვაღიარებთ, რომ ქრისტე იესო არის ნათელი ნათელთა, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისა და ვაღიარებთ მას ერთადერთ მაცხოვრად და გამომხსნელად ყოველი კაცისა და მთელი წუთისოფელისა. ნიშანდობლივად მიმაჩნია, რომ ჩვენი ასამბლეის დასაწყისში ყურადღება არ გაგვემახვილებინა ჩვენს შორის არსებულ განსხვავებებზე, და უმჯობესია გავისხენოთ ჩვენი საერთო საძირკველი. ეკუმენიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ საერთო მიკუთხების შეგრძენებას. ეკუმენიზმი გულისხმობს ჩვენი საერთო რწმენის გაცოცხლებას ერთ ღმერთში, ერთ უფალ ქრისტე იესოში, ერთ ნათლობაში და ერთ ეკლესიაში, რასაც საერთო მრწამსით ვაღიარებთ. ეკუმენურ მოძრაობას – რამდენადაც ამას განსაზღვრავს ეკლესიათა ეკუმენური საბჭო – მხარს უჭერენ ის პიროვნებები, რომლებიც იხმობენ ერთსა და სამსახოვან ღმერთს და აღიარებენ იესოს თავიანთ მაცხოვრად და უფლად. სწორედ ამ საერთო საძირკვლიდან გამომდინარე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები და მათ მიერ სულიერი შემართება.

ამ საძირკვლის გარეშე ქვიშაზე ავაგებთ და ეს იქნება ჰაერში აგებული ციხე-სიმაგრე. ამ საერთო საძირკვლის ახლებური გზით აღიარება ეკუმენიზმის საჩუქარია: ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთის არც უცხოები და არც კონკურენტები ვართ, არამედ ქრისტესმიერი და-მმები. მაშინაც კი, როცა პრობლემები და განსხვავებები იჩენენ თავს, ჩვენ არ უნდა გავაუფერულოთ ჩვენი სიხარული და ვინც ეკუმენიზმს მარცხად მიიჩნევს, არც იმათ უნდა მივცეთ უფლება დათორგუნობ ის სიხარული. ჩვენთვის ეკუმენე წარმოადგენს იესო ქრისტეს გზავნილს, რომელმაც ასე ილოცა: „რათა ყველანი ერთ იყვნენ“ (იოან. 17, 21). „ეკუმენე“ სულიწმიდის ბიძგია, (UR 1,4) და იგი ჩვენს დროებას სცემს პასუხს. ჩვენ ხელები გაგუროდეთ ერთმანეთს და აღარ გვსურს ისევ გავუშვათ.

„ეს განძი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭელში“ (2 კორ. 4,7), რადგან თუნდაც საერთო საძირკვლზე - იესო ქრისტეზე დაყონობილნი, მაინც გათიშულ ეკლესიებში ვიმყოფებით. ჩვენ ამას იესო ქრისტეს ნების და მისი გზავნილის საწინააღმდეგოდ ვაკეთებთ. მაშასადამე, ჩვენ არ უნდა მოვითმინოთ ჩვენს შორის არსებული სქიზმები, არ უნდა შევეგუროთ მათ ან სულაც გავალამაზოთ. ყოველივე ეს იესოს ნებას უპირისპირდება და ცოდვის ფორმაა; ისინი იმ ისტორიული მისიის მარცხზე მეტყველებენ, რაც არის ჩვენს მიერ ქრისტეს მაღლის დამოწმება ყველა ადამიანის წინაშე და ერთიანობისა და ყოველი კაცის მშვიდობისათვის ერთად მოღვაწეობა.

ჩვენი გაყოფის მიზეზით ჩვენ მრავალ ადამიანს დაუბინელეთ ქრისტეს ნათელი და იქსო ქრისტეს ჭეშმარიტება არასარწმუნოდ ვაქციეთ. ჩვენი გათიშვა, და ამას მოწმობს ისტორია, თანამონაწილეა ევროპაში არსებული გათიშვებისა და ამ კონტინენტის სეკულარიზაციისა. ჩვენი გათიშვა, ასევე თანაპასუხისმგებელია იმ ეჭვებზე, რაც ჰგელა ჩვენგანს უჩნდება ეკლესის მიმართ, და მათ საკამათო თემად გადაქცევაზე. ეს მდგომარეობა, რაშიც ჩვენი ეკლესიები იმყოფებიან, ნამდვილად არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას; შეუძლებელია უწინდებურად ვიაროთ ისე, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს. ეკუმენიზმს საპასუხო ალტერნატივა არ გააჩნია. ყველა სხვა პოზიცია ჩვენს პასუხისმგებლობას უპირისპირდება და მსოფლიოს წინაშე.

რისი გაკეთება შეგვიძლია? ნებისმიერ თერაპიას წინ უნდა სდევდეს ანალიზი. ჩემმა ეკლესიამ, კათოლიკე ეკლესიამ, ახლახანს ნათელი მოპფინა რწმენის მოძღვრების კონგრეგაციის ერთ-ერთ დოკუმენტში ყველა იმ განსხვავებებს, რაც სამწუხაროდ არსებობს, და ამ გზით გაიხსენა ის დავალება, რაც ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ დგას. ვიცი, რომ მრავალმა პიროვნებამ ეს შეურაცხყოფად მიიღო; ცხადია, არც მე მტოვებს გულგრილად და ჩემთვისაც მძიმე ასატანია, რამეთუ ჩემს მეგობრების ტკივილი და განცდები ჩემი ტკივილიც არის. ჩვენს მიზნებში არ ყოფილა ვინმეს შეურაცხყოფა ან დამცირება. ჩვენ გვსურდა დაგვემოწმებინა ჭეშმარიტება, ის, რასაც მოველით სხვა ეკლესიებიდან, და რასაც ცხადია ზოგი ეკლესია აკეთებს. არც ჩვენ გვსიამოვნებს ყველა ის განცხადება, რაც დრო და დრო ჩვენს შესახებ გაისმის. მოდით, გვერდზე გადავდოთ ეს თემა. პირფერობის თუ მოჩვენებითობის ეკუმენიზმი, სადაც მხოლოდ თავაზიანობაზე იქნება ყურადღება, ვერ დაეხმარება პროგრესს. მხოლოდ ჭეშმარიტებაში და გამჭვირვალებაში შემდგარი დიალოგი დაეხმარება ჩვენს წინსვლას.

უდაოდ მნიშვნელოვანია, რომ განსხვავებებისა და ე.წ. პროფილის აპელირებით, მხედველობის არედან არ გამოგვრჩეს ყველაზე აშკარა და მთავარი, რაც საერთო სამირკველშია. ეს მოსაზრება მკაფიოდ ჩანს ზემოსხენებულ დოკუმენტში, სადაც გარკვევით არის გაცხადებული, რომ იქსო ქრისტე მაცხოვნებელი ძალით არსებობს ჩვენგან გათიშულ ეკლესიებში და საეკლესიო კრებულებში. და ეს ცოტას როდი ნიშნავს. მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინ ამ სახის განცხადება ჯერ კიდევ ძნელად აღსაქმელი იქნებოდა, და მე თავად, დარწმუნებული არ ვარ, რომ ყველა ჩვენი ეკუმენური „პარტნიორი“ იგივეს აკეთებდეს. ამრიგად, განსხვავება არ შეეხება ქრისტიანად ყოფნას, და არც სულის ცხონებას; განსხვავებები ეხება კონკრეტულ მაცხოვნებელ შუამდგომლობას და ასევე ეკლესიის ხილულ ფორმას. არც კათოლიკები და არც მართლმადიდებლები ამ საკითხებს მარგინალურად არ უყურებენ, რამეთუ ეკლესია განკაცების საიდუმლოს ანალოგიურად შეიქმნა (8). ის არის ხილული ეკლესია, ხილული თავის მისტიკურ ასპექტშიც.

და ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ამ საკითხის გამო, სამწუხაროდ, ჩვენს შორის ჯერ კიდევ არ არის თანხმობა.

აქ კი, ჩვენ იმ ნამდვილ კვანძს ვეხებით, რაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გახსნილა. ვინაიდან ჩვენ ვერ ვთანხმდებით ეკლესიის გაგების საკითხში და უფრო მეტად, ევქარისტიის საკითხში, არ შეგვიძლია უფლის სუფრაზე ერთად შეკრება და ევქარისტიული პურის ერთად ჭამა, არც ერთი ევქარისტიული ბარძიმიდან შესმა. ეს სამწუხარო ფაქტია, და მრავალი მას მძიმე ტვირთად იღებს. ჭრილობების შენიდბვა არავის წაადგება; თუნდაც ტკივილს გვაყენებდნენ ისინი, საჭიროა მათი გამომზეურება; მხოლოდ ასე შევძლებთ ჭრილობების გამრთელებას, და დმრთის შეწევნით, მათ განკურნებას.

ანალიზის შემდეგ, ნება მომეცით ორიოდე სიტყვა თერაპიაზეც მოგახსენოთ. ჩვენ ყოველთვის არ უნდა კცდილობდეთ სხვებს დავდოთ ბრალი იმ აღუწერელ განცდებზე, რაც ჩვენს შორის არსებულმა გათიშვებმა გამოიწვია. ამ ბოლო წლებში შეკრებილმა ყველა ისტორიულმა კომისიამ აჩვენა, რომ ცალმხრივად ბრალის დადება, უმრავლეს შემთხვევაში, უსაფუძვლო იქნება სამომავლო შეფასებაში. ზოგადად, ბრალი ორივე მხარეზე უნდა გადანაწილდეს. ჩვენ პატიოსნად უნდა ვადიაროთ ეს, და პატიება უნდა შევთხოვოთ დმერთს და მოყვასს. ახალი დასაწყისი მხოლოდ მესიერების განწყობის გზით არის შესაძლებელი. ვერანაირი ეკუმენური პროგრესი ვერ შედგება მონაწილეობისა და გულის მოქცევის გარეშე. აქედან მზად უნდა ვიყოთ რეფორმისა და განახლებისთვის, რომელიც აუცილებელია ყველა ეკლესიაში და რომელიც ყველა ეკლესიას თხოვს საკუთარი თავიდან დაიწყონ.

მცდელობაში, რომ ყველა შეუთავსებლობის გადალახვით მივაღწევთ თანხმობას, დღემდე არსებული თანხვედრების მეთოდი წარმატებული აღმოჩნდა და დღემდე გრძელდება მისი გამოყენება მრავალ დაპირისპირებულ საკითხში. გავისხენებ ერთსულოვან თანხმობას გამართლების მოძღვრებაზე. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მეთოდი აშკარად ამოიწურა. ამ ბილიკზე, ამჯერად, წინ ვერ წავალათ. პირადად მე, ეს ყველაფერი არ მაძლევს თვითდამშვიდების ნებას. ჩვენ შეგვიძლია კეთილსინდისიერი და საინტერესო გზით დავუმოწმოთ ერთმანეთს ჩვენი პოზიციები; შეგვიძლია ეს გავაკეთოთ არასაკამათო და შეუზღუდავი ფორმით; შეგვიძლია გავაკეთოთ იმ იმედით, რომ მაღლოთა გაცვლა-გამოცვლა, როგორც ეს შეაფასა იოანე პავლე II-მ, შესაძლებელი გახდეს. ეს კი ნიშნავს: შევისწავლოთ ერთმანეთი. იმის ნაცვლად, რომ მცირე საერთო მნიშვნელი დავინახოთ, ერთმანეთი შეგვიძლია გავამდიდროთ იმ მემკვიდრეობით, რაც გვებოდა. ამ გზაზე, უკანასკნელ ათწლეულებში ბევრი სასიკეთო ძვრები მოხდა. ჩვენ კათოლიკებმა ევანგელისტებისგან შევისწავლეთ ღვთის სიტყვის მნიშვნელობა; ამჯერად, ისინი ჩვენგან სწავლობენ ლიტურგიის ფორმას და მნიშვნელობას. კათოლიკები და ევანგელისტები მადლიერნი არიან მართლმადიდებელი და-ეკლესიების, რომ დიდ გულისხმიერებას იჩენენ ამ საიდუმლოსადმი; ამ მხრივ, სხვათა შორის, დასავლეთში გაიღვიძა ხატებისადმი სიყვარულმა. ეს ის მაგალითებია, რისი განვითარებაც იოლად ხდება.

ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად ვინცობოთ ერთმანეთს და ამიტომაც ნაკლებად გვიყვარს ერთმანეთი.

ერთი რამის უნდა გვჯეროდეს: ჩვენ არ შეგვიძლია ერთიანობის „აგება“; ეს არ იქნება ჩვენი საქმე. ეს დმრთის, სული წმიდის მადლია. მხოლოდ მას ძალუმს გულთა შერიგება. ამის გამო უნდა ვევედროთ ერთიანობის სულს. სულიერი ეუკმენიზმი წარმოადგენს ეკუმენიზმის ცენტრს და გულს (UR.8).

ეკლესიის ერთიანობა არ არის თვითმიზანი. არავინ, თვით ეკლესიაც კი, არ ცხოვრობოთ თავის თავისთვის. იესომ იღოცა, რომ ყველანი ერთი იყოს, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა (იხ. იოან. 17, 21). ქრისტიანთა ერთიანობა დამოკიდებულია წუთისოფლის ერთიანობაზე, ხოლო ჩვენს ვითარებაში განსაკუთრებით, ევროპის გაერთიანებაზე. ქრისტეს ნათელმა გააერთიანა და გზაზრდა ევროპა. ევროპული ისტორიის სათავეებში და მთელ ისტორიულ გზაზე, ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვანი წმიდანების სახეებს: მარტინ და ბენედიქტ, კირილე და მეთოდე, ადალბერტო, ელისაბედ უნგრელის და ტურინგის ქალბატონები, ელვიგე პოლონელი, ულრიხი, სლესია და გერმანე, ბრიგიტა შევიცარელი, და მრავალი სხვა. შეუძლებელია ევროპაზე რეფორმატორების გარეშე ისაუბრო, ვერც იოპან სებასტიან ბახს დაივიწყებ და ვერც ისეთ მაგალითებს, როგორიც იყო დიტრის ბონკოფერი.

ისინი, რომლებიც ევროპის ქრისტიანულ ცესებს უარყოფენ, შეგვიძლია უბრალოდ ვამოგზაუროთ გიბრალტარიდან ესანეთის, საფრანგეთის,

სკანდინავიის და პოლონეთის გავლით თვით ესტონეთამდე, ანდა რომიდან ძველი კონსტანტინოპოლის და კიევის გავლით მოსკოვამდე. ამ გზაზე მოგზაური სხვადასხვა ხალხს შეხვდება, სხვადასხვა იდიომებს მოისმენს, მაგრამ სადაც კი მივა, ყველგან ნახავს ჯვარს, ხოლო ყველა უძველეს ქალაქში, საკათედრო ტაძარს. ევროპის ქრისტიანული ფესვების უარყოფა მხოლოდ და მხოლოდ რეალობის წინააღმდეგ წასვლაა. ქრისტიანული ფესვები არც თანამედროვე ერაში შთენილა უნაყოფოდ. პიროვნების დირსებაზე და ასევე ადამიანის საყოველთაო უფლებებზე თანამედროვე კონცეფციის ფესვები ებრაულ-ქრისტიანულ ტრადიციებშია გადგმული. ამიტომაც, ასე ხელალებით ვერ მოვეპყრობით თანამედროვე ერას, იგი თვითგანადგურებისგან უნდა დავიცვათ.

სამწუხაროდ, ევროპამ ხშირად უდალატა თავის მისიას: მრავალრიცხვანი ომები ქრისტიანთა შორის, სხვა ერების კოლონიური ექსპლუატაცია და დამოკიდებულება, უკანასკნელ საუკუნეში თრი საშინელი მსოფლიო კონფლიქტი, ღმრთისა და ადამიანის ორი მტრული დიქტატურა, რომელთა მიზეზით ევროპის შუაგულში ექვსი მილიონი ებრაელი ზვარაკად შეეწირა. დღეს ევროპა საფრთხეშია, იგი არა მხოლოდ ღალატობს საკუთარ იდეალებს, არამედ უბრალოდ ივიწყებს მათ. ძირითადი საშიშროება მოდის არა იმდენად ათეისტური ოპოზიციის მხრიდან, რამდენადაც დვოთის დავიწყებიდან, რაც უბრალოდ აღემატება უფლის მცნებებს, მოდის გულგრილობიდან, ზედაპირულობიდან, ინდივიდუალიზმიდან, საერთო სიკეთის მსახურებაში არამზაობიდან და ამ მიზნისთვის თავგანწირვის სურვილის არქონიდან. ხომ არ ვეთამაშებით ვულკანს ან ნაღმს? ყველა თანამედროვესთვის, რომლებიც ყურადღებას იჩენენ ახალ გამოწვევებზე, დიდი ხანია ეს აშკარაა. მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი: შეძახილი სამართლიანობაზე გლობალიზებულ მსოფლიოში, სადაც უსამართლობა ხშირად ცას წვდება, მუქარა ულმობელი ტერორიზმის სახით, მშვიდობიანი, და ამავდროულად, აუცილებლად გულწრფელი კონფრონტაცია ისლამთან.

ფუჭი და უსახური რელიგია უკვე აღარაფერში გვეხმარება. მაგრამ ქრისტიანის ხსნა შეერწყა წუთისოფლის სახეს. „ნუ დაემსგავსებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის დვოთის ნება- კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“ - ეს ძლიერი მოწოდებაა, რასაც პავლე მოციქული აცხადებს (რომ. 12,2). ახალი ევანგელიზაცია ჩვენი მოვალეობაა. ჩვენ დამაჯერებელი და განცდილი შავი პურის რწმენა მოგვეთხოვება. ევროპა ვერ იქნება მხოლოდ ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობა. ევროპას, თუკი უნდა რომ მომავალი პქონდეს, სჭირდება საერთო ხედვა და ძირითადი ფასეულობების საერთო სისტემა. ევროპა - და ეს ნიშავს: ჩვენ, ევროპელი ქრისტიანები, ბოლოს და ბოლოს უნდა გამოვიდეთ და გვიცვლით; ევროპა ერთ გუნდად უნდა დადგეს თავისი ისტორიის და თავისი ფასეულობების მხარეზე, რამაც მას ოდესდაც სიდიადე მიანიჭა და რასაც შეუძლია ახალი მომავლის იმედი ჩაუსახოს. ეს ჩვენი საერთო მოვალეობაა.

ჩვენი მიზანია ევროპის ერთიანობა და არა მისი გაერთიანება. განსხვავებული კულტურები სიმდიდრეზე მეტყველებენ. ჩვენ, მეტ-ნაკლებად, ღვთისგან ყოველ კაცზე მინიჭებული დირსების, სიცოცხლის საკრალურობის, სამართლიანობის და სოლიდარობაში თანაცხოვრების, ქმნილებისადმი უურადღების, სიყვარულისა და თანაგრძნობის ახალი კულტურის კონცეფციის ტყვეობაში ვართ.

ჩვენ თანაბრად უნდა ვიყოთ ნიშანი, მაგალითი და იარადი სახარებისეული სულის ამ ალტერნატივისა. ამიტომაც, გულისხილება უნდა გამოვიჩინოთ სხვა რელიგიებისადმი, და ამავდროულად, გვეყოს გამბედაობა გარდასახვაზე, განსხვავებულ ქრისტიანულ ყოფაზე, იმის გამბედაობა, რომ

ვაღიაროთ იქსო ქრისტე სინათლედ, რომელიც ყველას ანათებს და მიუტანოთ წუთისოფელს, რომელსაც ჰაერივით სჭირდება იგი.

ვის შეუძლია ამაზე უკეთესის მოცემა? სხვაგვარად, სად ვიპოვით საუკუნო სიცოცხლის სიტყვას? (შდრ. იოან. 6,68).

გამოჩენილი კათოლიკები

პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 70 წლისთავის გამო

2 დეკემბერს შესრულდა 70 წელი ცხობილი ქართველი მხატვრის პეტრე ოცხელის სიკვდილიდან – იგი დახვრიტების 1937 წლის 2 დეკემბერს. ამასთან დაკავშირებით ქარვასლაში გაიმართა მისი ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც მთავრობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამოფენა 10 იანვრამდე გაგრძელდება და პეტრე ოცხელის ნიჭის თაყვანისმცემლებსა და ხელოვნების მოყვარულების მისი დათვალიერების საშუალება ექნებათ. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა საგანგებო ალბომი.

კონსტრუქცია, ექსპრესია და გროტესკი

პეტრე ოცხელი რომ მხატვარი არ ყოფილიყო, იგი, ალბათ, ბიოლოგი იქნებოდა. ეს უცნაური აზრი გამიჩნდა 1998 წელს, როდესაც მუზეუმის ნახევრად ბნელ საცავში ერთი მეორის მიყოლებით ხელში ვიღებდი მის ესკიზებს, გაცლიდი სამუზეუმო, უფრო კი დავიწყების მტვერს და გაოგნებული ვათვალიერებდი ამ უჩვეულო ნამუშევრებს. ახლა რომ ვფიქრობ, პეტრე ოცხელის ნახატები (მის ნამუშევრებს მნელია მხოლოდ კოსტიუმისა და დეკორაციების ესკიზები ვუწოდოთ) განცვითრებას იწვევენ, პირველ რიგში, არა თვალშისაცემი რადიკალური სიახლით, უჩვეულო ფორმებითა და სტილის დახვეწილობით, არამედ სიცხადით. აქ არ იგულისხმება უბრალო სისადავე, მით უმეტეს სიმარტივე. ეს სიცხადე გაცილებით უფრო ღრმა, შეიძლება ითქვას, ორგანული ბუნებისაა. მის ნახატებში იგრძნობა არა იმდენად ფსიქოლოგის დაკვირვებული მზერა, რამდენადაც სასიცოცხლო ფორმით დაინტერესებული მკვლევრის მახვილი თვალი.

როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმის პაბიტუსი მეტყველებს მის მტაცებლურ, თუ არამტაცებლურ ბუნებაზე, ისე ოცხელის ნებისმიერი პერსონაჟის გარეგნობა მიგვანიშნებს მის ძირითად, წამყვან ინსტინქტს. ამიტომაც, მისი დეზდემონა უცნობი სახეობის მწერთა მშვენიერ დედოფალს (მათი მიკროსამყაროს ცენტრსა და სიცოცხლის წყაროს) მოგვაგონებს, ფრანც მოორი კი – რომელიდაც აგრესიულ პარაზიტს. მწერებს ნახატის აღქმა რომ შესძლებოდათ, ისინი უთუოდ იცნობდნენ საკუთარ თავს ოცხელის ანთროპომორფულ არსებებში.

ოცხელის მხატვრულ სახეებს მიუყავართ ადამიანური ბუნების ელემენტურ, ბიოლოგიურ საწყისებთან, რომლებიც ფსიქიკასთან შედარებით, გაცილებით უფრო ღრმადაა ჩამალული. ამიტომაც მათში არაფერია ზედმეტი, ზედაპირული და დეტალიზებული. აქ წაშლილია ზღვარი ადამიანსა და სამოსს შორის. ისინი ერთიან ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენენ და გამოხატვებენ უმთავრეს მამოძრავებელ ინსტინქტს. ალბათ, აქ იმალება ოცხელისეული „ესკიზების“ ყბადალებული სისადავისა და მონუმენტურობის საიდუმლო.

ეს უჩვეულო, მაგარამ ადვილად საცნობი პერსონაჟები ფანტასმაგორულ, თუმცა მათოვის სრულიად ბუნებრივ სამყაროში ცხოვრობენ. სასცენო დეკორაციათა მოულოდნელი, ხშირ შემთხვევაში, ჰიპერტროფირებული გეომეტრიული ფორმები სცენის „მოსახლეობისათვის“ ისეთივე ორგანულია,

როგორც ტერმიტების მონუმენტური „არქიტექტურა“ მისი უენო ავტორებისათვის. ისინი არიან ამ გარემოს შემოქმედნიცა და საკუთარი ქმნილების ტყვეებიც. და როგორც საჭიანჭველოს კონფიგურაცია განაპირობებს ყოველი ჭიანჭველის ბიოსოციალურ ფუნქციას, ასევე, ეს ფანტასტიკური სივრცე განსაზღვრავს თითოეული პერსონაჟის როლს. ქმნილების ტირანია შემოქმედზე არის „ურიელ აკოსტას“, „ოტელოსა“ და, ნაწილობრივ, „სპარტაკის“ სცენოგრაფიის ფარული, თუმცა ზედმიწევნით არსებითი, შინაგანი მოტივი.

ქართული სახვითი ხელოვნება კონტურისა და შტრიხის არა ერთ ოსტატს იცნობს. მათი ნაწარმოებების დახასიათებისას ხშირად იხმარება ისეთი ეპითეტები, როგორიცაა: „ელეგანტური მონახაზი“, „ნატიფი სილუეტი“, „ჰაეროვანი აბრისი“ და სხვ. მაგრამ, ვფიქრობ, აზრისა და ხაზის ასეთი ზედმიწევნით ზუსტი, ინსტინქტური დამთხვევა, რასაც ოცხელთან გხვდებით, უპრეცედენტოა XX საუკუნის ქართულ დაზგურ მხატვრობაში და ამ მხრივ მას, ალბათ, წინამორბედი არ მოეძებნება.

ამავე დროს, ის თავისი მღელვარე, პოლიტიკური კატაკლიზმებითა და ესთეტიკური ძიებებით მდიდარი ეპიქის შვილია. მის შემოქმედებაში შესამჩნევია XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ელემენტები კონსტრუქტივიზმითა და ექსპრესიონიზმით დაწყებული, სიურრეალიზმით დამთავრებული. მაგრამ ასეთი ალუზიები ოცხელთან ყოველთვის მკაფიოდ დასმულ მხატვრულ ამოცანასა და ინდივიდუალურ ხედვას არის დამორჩილებული. ამიტომაც, რომელიმე კონკრეტული მიმდინარეობის ჩარჩოებში მათი მოქცევა შეუძლებელია. 1936 წელს, ტრაგიკულ სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, პეტრე ოცხელი თავის დას მოსკოვიდან წერს: „... რაც შეეხება ჩემს ფორმალიზმს, მას მე არ ვემიჯნები და არც გავემიჯნები არასოდეს, რადგან რაც ჩემთვის დამახასიათებელია, ჩემს პიროვნებას წარმოაჩენს და განასხვავებს დანარჩენებისაგან, იმაზე უარის თქმა სასაცილო იქნებოდა.... მაგრამ ნუ იფიქრებ, თითქოს თავს ფორმალისტად კოვლიდე. შენ შეცდები, თუკი ყოველივე არარეალურს ფორმალიზმს დაარქმევ. ყველა ამ „იზმებს“ მრავალი განშტოება აქვს, რომელთაც ასე ადვილად ვერ შეურჩევ სახელს“.

ცნობილია, რომ ოცხელს არასოდეს უმუშავია მოდერნისტული ხელოვნების ისეთ ცენტრებში, როგორც იმ ხანად იყო პარიზი, ბერლინი ან ვენა. მით უფრო საოცარია, რომ მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებისაგან იზოლირებული მხატვარი თავისი შემოქმედებით ეხმიანება თანამედროვე ტენდენციებს და აყალიბებს ახალ ესთეტიკურ მსოფლმხდელობას. მისთვის უცხოა მიმბაძველობა, ეპიგონობა, ან თვითმიზნური მანერულობა. პირიქით, იგი ისეთივე ნოვატორად გვეველინება, როგორებიც იყვნენ კლიმტი ან ბაქსტი, კონსტრუქტივისტი ტატლინი, ექსპრესიონისტი მუნკი, ან სურრეალისტი მირო. დავით კაკაბაძესთან ერთად პეტრე ოცხელი უდავოდ უნდა მივიჩნიოთ მხატვრული აზროვნების უდიდეს რეფორმატორად საქართველოში.

ოცხელის ნამუშევართა მძლავრ, შეიძლება ითქვას, შოკისებურ ესთეტიკურ ეფექტს სამი ასპექტი განაპირობებს. ეს არის: აზრის სიცხადე, ემოციის ძალა და ირონიული ქვეტები. თუ კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ყველა საუკეთესო ნამუშევარში ოცხელი რაიმე მოვლენის, პერსონაჟის ან გარემოს გარეგნულ დახასიათებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ზუსტად გააზრებულ, მაგაფიო კონცეპტს გვთავაზობს (მაგალითად, არსაით მიმავალი კიბე სპექტაკლიდან „მშენებელი სოლნეცი“, ანდა „პამლეტის“ ესკიზებზე ბნელ სივრცეში დიაგონალურად გადაჭიმული ვიწრო სხივი, რომელსაც გაუგებარია საით მივყავართ). აზრის სიცხადეს ოცხელი მკაფიო და

მყარი კონსტრუქციის საშუალებით აღწევს. როგორც დეპორაციის, ისე კოსტიუმების ესკიზებს ზუსტად გააზრებული კონსტრუქცია უდევს საფუძვლად. ამავე დროს, მხატვარი შორსაა მშრალი კონსტრუქტივიზმისაგან. მისი ხაზი საოცრად ელასტიური და ემოციურია. მკაცრი კონსტრუქციისა და დინამიური ექსპრესიის ორგანული თანხვედრა ოცხელის გრაფიკის, მისი ხელწერის საფირმო ნიშანია („ოტელო“, „თეთრები“, „ყაჩადები“ და სხვ). ექსპრესიულ ფორმათა ძიებაში მხატვრის ფანტაზია ამოუწურავია, სტილური სპექტრი კი საოცრად ფართო – არტ ნუზოდან დაწყებული, სურრეალიზმით დამთავრებული. პეტრე ოცხელის ფანტასტიკურ (არ შევცდებით, თუ ვიტყვით – ფატალისტურ) სამყაროში პერსონაჟთა ბედსა და ურთიერთობებს უფრო გეომეტრიისა და ბიოლოგიის კანონები განსაზღვრავს, ვიდრე ინდივიდუალური მისწრაფებები, ან ფსიქოლოგია. ამიტომაც, მის ნამუშევრებს წითელ ზოლად გასდევს მწარე ირონია, რომელიც ფრანც კაფკასი არ იყოს, ხან ტრაგიკულ, ხან კომიკურ ელფერს იძენს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში გროტესკის ფორმით ვლინდება. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ მისი პერსონაჟები გიგანტურ მწერებს ან ეგზოტურ მცენარეებს მოგვაგონებენ? ოცხელის მიდრეკილება გროტესკისაკენ არ არის თვითმიზნური, ის მისი მსოფლმხედველობის აღეკვატური გამოვლინებაა. თუმცა, რა თქმა უნდა, ის უფრო თვალნათლივ სწორედ პაროდიულ ან კომიკურ სიუჟეტებთან და პერსონაჟებთან მიმართებაში შეიმჩნევა („აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, „გულადი ჯარისკაცი შვეიკი“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „მფრინავი მღებავი“ და სხვ).

კონსტრუქცია, ექსპრესია და გროტესკი ის სამი არსებითი ელემენტია, რომლისგანაც იგება ოცხელის მხატვრული სამყარო. ზოგან კონსტრუქციაა უფრო თვალშისაცემი, ზოგან ექსპრესიული, ზოგან კი – გროტესკული ფორმები. მაგრამ არ არსებობს ნამუშევარი, სადაც სხვადასხვა პროპორციით, სამივე ეს ელემენტი არ მონაწილეობდეს. ამიტომაც, ალბომში წარმოდგენილი ნამუშევრების სამ ბლოკად („კონსტრუქცია“, „ექსპრესია“, „გროტესკი“) დაყოფა, ცხადია, პირობითია და მიზნად მხოლოდ და მხოლოდ მნახველისათვის აღქმის გამარტივებას ისახავს.

დღეს, როცა მისი დაბადებიდან 100 წელი გავიდა, კიდევ უფრო ნათელი ხდება იმ რადიკალური გარდატეხის მასშტაბი და მნიშვნელობა, რაც პეტრე ოცხელმა მოახდინა ქართულ (და, შესაძლოა არა მხოლოდ ქართულ) მხატვრულ აზროვნებაში. სამწუხაროდ, ამ სიახლეს ქართულ მხატვრობაში აღეკვატური გაგრძელება არ მოჰყოლია. რა გასაკვირია, რომ მისი მხატვრული კრედო და შემოქმედებითი ნოვაციები მიუღებელი აღმოჩნდა იმდროინდელი ბოლშევიკური ერთარტიული ტოტალიტარიზმისათვის. ოცხელისათვის კი მიუღებელი იყო ერთფეროვნება, ერთაზროვნება, მითუმეტეს – იდეოლოგიური და ესოებიკური დიქტატი. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ის წერს: „... თუ შესაძლებელია, მოსკოვის ყველა ავეჯის მაღაზიის გავსება სტანდარტული ავეჯით, ყოვლად შეუძლებელია მეინროლდის, ოხლოპკოვკის, ტაიროვის და სხვა თეატრების ერთნაირი ტიპის რეალისტურ თეატრად გადაქცევა. კიდევ უფრო ადვილია ყველა თეატრის გარეკვა და მხოლოდ ერთი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის დატოვება აურაცხელი ფილიალებით და მათი მაყურებლისათვის ერთნაირი მხატვრული გემოვნების ჩანერგვა, ავეჯის ყველა მაღაზიის უნიფიცირებული ავეჯით გავსების მსგავსად“.

საუბედუროდ, პეტრე ოცხელს ისეთ დროს მოუხდა ცხოვრება, როდესაც საკუთარი პრინციპების ერთგულება ან, უბრალოდ, პატიოსან ადამიანად დარჩენა – გმირობას უდრიდა. სტალინური იმპერიისათვის იგი უბრალო ჭიანჭველა იყო, რომელსაც სხვა მრავალთა მსგავსად გაუსწორდნენ... ისე, როგორც უსწორდებიან უწყინარ, თუმცა აბეზარ მწერებს.

მაგრამ პატარა მწერები ზოგჯერ ახერხებენ ისეთი კოშკების აგებას, რომლებიც გასაოცრად, შემაშინებლად აღემატება მათ ბიოლოგიურ შესაძლებლობებს.

კოტე ჯანდიერი

სულიერება

მსახურებისათვის

ვისაც ოქვებ შორის სურს პირველი იყოს,
ის ოქვენი მონა იყოს.
მათ 21:27

ქრისტიანულმა ცნობიერებამ აბსოლუტურად შეცვალა მანამდე არსებული შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა სფეროებში. მიუხედავად იმისა რომ დემოკრატიამ თავის სამშობლოდ ანტიკური საბერძნეთი ჰპოვა, მისი მეტნაკლები ამუშავება ქრისტიანულ გარემოში მოხდა, რაც სრულებით არ არის შემთხვევითი.

ქრისტიანობამდე არსებული კეისრისა თუ იმპერატორის ინსტიტუტი, რომელსაც რელიგიური საფუძვლები ნაკლებად ჰქონდა, მაიც ინარჩუნებდა ერთგვარ დამახინჯებულ მისტიციზმს. ტოტალიტარულ სახელმწიფოებს აქვთ თავისი ურელიგიო მისტიკა. უზენაესი ძალაუფლების მატარებელი მათში თუ ღმერთად არა ზეპაცად მაიც მიიჩნევს თავს. ასე არა, მაგრამ მსგავსი ფორმები შუასაუკუნეების ქრისტიანულ სამყაროშიც მუშაობდა, როდესაც სამეფო გვარები თავიანთი ფეხვების და ბიბლიური სულისკვეთების დაახლოებას ცდილობდნენ. ქრისტიანობის გავრცელებას თავიდანვე არ მოჰყოლია იმ ცნობიერების ფართოდ დანერგვა-განვითარება, რაც ჭეშმარიტად ქრისტიანულია.

ეშირად ამბობენ, რომ ისტორიულად ქრისტიანობა ცხოვრებაში ვერ განხორციელდა და ამას ქრისტიანობის საწინააღმდეგო არგუმენტად მიიჩნევენ. ქრისტიანობის კომპრომეტირებას ახდენენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ ქრისტიანობის, ეკლესიის ისტორია. როგორც ნიკოლაი ბერდიაევი აღნიშნავს, ქრისტიანობის ისტორიის შესახებ წიგნების კითხვა მცირედმორწმუნეთათვის შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს, რადგან ეს წიგნები მოგვითხოვთ ქრისტიანულ სამყაროში ადამიანური ვნებების და ინტერესების ბრძოლაზე, ცოდვილი კაცობრიობის ცნობიერების მიერ ქრისტიანული სიმართლის შერყვნასა და დამახინჯებაზე. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ეკლესიის შინაგანი, სულიერი ცხოვრება, ადამიანის დვთისკენ მიქცევა, ისე თვალშისაცემი არაა და ეს ყველაფერი გადაფარულია ცხოვრების გარეგანი მხარეებით, რომელიც უფრო ადვილი გასაგებია ადამიანთათვის.

ამ წინამდლვრის გაკეთება საჭიროა რათა კიდევ ერთხელ მოვიძოოთ ქრისტიანობის საზოგადოებაში, სოციუმში გამოხატვის საუკეთესო ფორმები. თუ უფრო დავკონკრეტდებით, ქრისტიანობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მორიგების გზები, რაც ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოწმობას თხოვლობს. ერთი შეხედვით, ნათელია, რომ ხდება ქრისტეს ეკლესიის აღორძინება და ღმრთის ხალხის მატება ღმრთის სახლში თანამედროვე საქართველოში. ეს პროცესი ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან დაიწყო რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა და დღესაც გრძელდება, მაგრამ საკითხს უნდა შევხედოთ

მეორე მხრიდანაც, სიღრმისეული განვითარების პუთხით. საკითხავია რამდენად ხდება იმ ფასეულობების განმტკიცება საზოგადოებაში, რასაც ქრისტიანობა გვაძლევს არამარტო სარიტუალო-საეკლესიო თვალსაზრისით, არამედ იდეოლოგიური თვალსაზრისითაც. სიყვარული, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, მსახურება – ეს ხომ ის ფასეულობებია, რომელიც ქრისტიანობის არსს შეადგენენ და რომელიც მას უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს.

უურადდება გაგამახვილოთ მსახურებაზე, რადგან ეს საკითხი არამარტო პოლიტიკურია, არამედ ყოვლისმომცველიც. მსახურება თავისთვავში შეიცავს ყველა იმ ფასეულობას, რაც ზემოთაა ჩამოთვლილი და კარგად წარმოგვიდგენს ადამიანის დანიშნულების ქრისტიანულ საკითხს. ერთ-ერთ სინოპტიკურ სახარებაში იქსო ამბობს იმას, რაც აბსოლუტურად განასხვავებს ქრისტიანობას სხვა რელიგიებისგან: “ისევე როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისთვის, რათა მას ემსახურონ არამედ იმისთვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად.”(მათე 21,28) ამ სიტყვების კარგი გააზრება დაგვეხმარება იმაში, რომ არათუ სხვაზე მეტად ვიგრძნოთ თავი, არამედ ნებისმიერი პირადი წარმატების შემთხვევაშიც კი დავრჩეთ მსახურები მსახურებაში. მნიშვნელოვანია ამის შეცნობა ეკონომიკის, პოლიტიკის და სხვა საზოგადოებრივ სფეროებში, რაც დაეხმარება ნებისმიერ სახელმწიფოს, იყოს არამარტო პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის მატარებელი, არამედ სამართლიანი და დემოკრატიული, რაც ზემოთ ნათქვამის ლოგიკური გაგრძელებაა.

მსახურების ქრისტიანული ბუნების შეცნობას ხელს უშლის ძალაუფლების მომაჯადოებელი ბუნება. ის როგორც ასეთი, არაა სხვათა მსახურება, ის თვითონ მოითხოვს მსახურებას. ძალაუფლების, როგორც მსახურების იდეა პირველად პავლე მოციქულმა განაცხადა ქრისტეს მოძღვრების საფუძველზე რომაელთა მიმართ ნათქვამი ცნობილი სიტყვებით რომ ”ისინი ღვთის მსახური არიან.”(რომ.13,6) პავლეს სიტყვები არ შეისმინეს რადგან რომაულ ძალაუფლებას არ სურდა საკუთარი თავი გაეაზრებინა, როგორც მსახურება. მაგრამ ქრისტიანული ცნობიერებისათვის მხოლოდ ასეთი ძალაუფლება იყო მისაღები. განდმრთობილი, გაფეტიშებული ძალაუფლება კი იყო ქვესკნელიდან ამოსული მხეცი და დღესაც ასე რჩება.

თითქმის ორი საუკუნის შემდეგ ორიგენეზ საეკლესიო წინამდღვართა მიმართ გაიმეორა პავლეს სიტყვები ძალაუფლების შესახებ: “წინამდღოლი, ვფიქრობ ასე უნდა ვუწოდოთ მას, ვისაც ვკლებიაში ეპისკოპოსს უწოდებენ, იგი ყველას მსახური უნდა იყოს თავის მსახურებაში, რათა ყველას არგოს ცხონების საქმეში.”

ამ სიტყვების სულისკვეთება აუცილებელია საერო ცხოვრების მმართველობის სფეროშიც. თუკი ასეთი წყაროდან მარაგდება თანამედროვე პოლიტიკური აზროვნება, მაშინ საქმეც უკეთესად იქნება და თუ ეს მომენტი ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელია, ამაში უპირატესად საზოგადოებაა დამნაშავე, რადგან სწორედ საზოგადოებიდან გამოდიან პოლიტიკური და არამარტო პოლიტიკური ელიტები. რა უნდა მოვთხოვოთ მათ, როცა ეს ფასეულობანი საზოგადოებაშიც არ არსებობს.

ისმის კითხვა: ჭეშმარიტად ვიცნობთ კი ქრისტიანულ ფასეულობებს? ჭეშმარიტად ვითარდება ჩვენში ქრისტიანობა? ჭეშმარიტად გვინდა დვორის ხალხი ვიყოთ? ამ კითხვებზე პასუხს მოგვცემს არა ფორმალურ-რიტუალური წესის ცოდნა და სტატიკური გახევება ჩვენ შეხედულებებში, არამედ სიდრმისეული ვარჯიში და გამოცდილება რწმენაში, რაც ქრისტიანული ცხოვრების წესისა და ორიენტირთა ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

გიორგი აბდუშელიშვილი
თბილისის სასულიერო აკადემიის
საღვთისმეტყველო ინსტიტუტის
ფსიქოლოგია-რელიგიათმცოდნეობის
ფაკ-ის II კურსის სტუდენტი

სოციალური პრობლემები

თბილისი, ჩემი ლამაზი თბილისი

რამდენიმე წლის წინ ერთი იტალიელი ტურისტის შთაბეჭდილებებს ვკითხულობდი, რომელიც 2003 წელს თბილისში მოგზაურობის შემდეგ ვერონის ერთ-ერთ უურნალში გამოაქვეყნა.

„საქართველოს დედაქალაქი, სადაც უამრავი ძველი ეკლესიაა, პირველივე ნახვით ატყვევებს თვით ყველაზე უყურადღებო სტუმარსაც კი. ქალაქის ისტორიულ ცენტრში ან პერიფერიის ფერდობებზე აქა-იქ მოჩანს მოკრძალებული ზომის, მუქი, კვადრატული ქვით ნაშენი, ცილინდრული, ან კონუსური ფორმის გუმბათიანი მრავლი ტაძარი. ყველა ნაგებობას შორის, რაც კი ქალაქში არსებობს, ეკლესიები უდაოდ ყველაზე ლამაზი და, რა თქმა უნდა, უნიკალურია, სადაც ღირსეული ქართული სული აირეკლება, რასაც საუკუნეებმა ვერაფერი დააკლო.

XIX საუკუნის მძიმე და საბჭოთა იმპერიის დროში აგებული უსახო, არაფრის მთქმელი, მასიური ნაგებობების ხაზები არავითარ სულიერ საზრდოს არ სოავაზობს ადამიანს.

ეკლესიებში ტიპური მართლმადიდებლური ატმოსფერო სუფეს: ვრცელ ფრესკებსა და ანტიკურ ხატებს ადამიანები პირჯვრის გადასახვით, თავის დახრითა და მათი მოხვევით სცემენ თაყვანს. სანთლების რაოდენობას თვლა არა აქვს. თუ წირვას ან ლიტურგიულ მსახურებას დაესწრებით, მრავალხმიანი გალობა ამაღლებისა და აღტაცების სპირალში მოგაქცევთ და მისი დატოვების საშუალებას არ გაძლევთ.

ქველ საცხოვრებელ სახლებსაც აქვთ თავისი დახვეწილი სტილი, დამუშავებული კარნიზებითა და ნაჭედი რკინის აიგნებით. მაგრამ ეს სილამაზე მხოლოდ ფონია იმ მძიმე რეალობისა, რაც აშკარად არსებობს.

ის, რაც მასიურად თვალში გხვდებათ, დეგრადირებული შენობები და გზებია. ასეთი რამ არ მინახავს აღმოსავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანაში, თუნდაც ომი წინა დღის დამთავრებული ყოფილიყო: ნაგებობები ნგრევის პირასაა მისული, გადახრილი, დაზიანებული და დაბზარულია, დაჟანგული და ცამსხვრებული ფანჯრებით, ლიფტები მწყობრიდანაა გამოსული ყველაზე მრავალსართულიან შენობებშიც კი; გათბობის სისტემები სამუდამოდაა გაფუჭებული; სინათლე და სასმელი წყალი მოსახლეობისათვის მხოლოდ რამდენიმე საათით არის ხელმისაწვდომი; გზებზე, რამდენიმე ცენტრალური გზის გარდა, მრავლადაა ორმო და ნაგავი, სკერები მიტოვებულია, კედლები – ნგრევის მირასაა მისული. მშენებლობები და სარესტავრაციო სამუშაოები აქა-იქ მიმდინარეობს, ალბათ ისიც იმიტომ, რომ ქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყოს და ადამიანებისათვისაც ცხოვრება უფრო მოსათმენი გახდეს.

ნამდვილად ძლიერ სამწუხაროა შესადარებლად (რაც ძალიან ადვილია) გუშინდელი და დღევანდელი თბილისი. გავიდა წლები და ახლა მე მაფიქრებს ის, რასაც დღეს ვხედავ: მთელი ქალაქი ერთ დიდ მშენებლობადაა ქცეული, დუღს ქალაქი, თუმცა საკმაოდ მოუწესრიგებლად. კეთდება გზები, ჩნდება კეთილმოწყობილი ბაღები და შადრევნები, საბავშვო მოედნები, სტადიონები,

აკვაპარკები, ლამაზი რესტორნები, გაჩახჩახებული ბენზინ გასამართი სადგურები, კაზინოები და ტოტალიზატორები (იქნებ ზედმეტიც...) კარგად აღჭურვილი სუპერმარკეტები, დიდებული საცხოვრებელი და კომერციული შენობები... სინათლე თითქმის უწყვეტადაა, ისევე, როგორც სასმელი წყალი და გაზი.

თუკი დღეს ვინმე ჩამოვა თბილისის ახალ, ბრწყინვალე აეროპორტში (ნუთუ ასეთი სასწრაფო ასაშენებელი იყო თუ გავითვალისწინებთ ყოველდღიური ფრენის რაოდენობას), შეგძმნება იმ მოგზაურისაგან სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილება, რომელმაც საქართველოს დედაქალაქი 2003 წელს მოინახულა.

მართალია ბევრი რამ (თუმცა ყველაფერი ოქრო არ არის რაც ბრწყინავს) პატივისცემის დირსია, მაგრამ მე, ალბათ, თავს შევიკავებდი ზოგიერთი შენობის შედებვისაგან სტილში: „ალისა სასწაულების ქვეყანაში“.

როდესაც ცენტრალური ქუჩებიდან უფრო ღრმად შევალთ ქალაქში, მაგალითად, მის ისტორიულ ცენტრში, უფრო სწორად რაც დარჩა ისტორიული ცენტრისაგან, რომელსაც ასე ეთაყვანებოდა „გუშინდელი“ ტურისტი, გული მეგუმშება: ლესელიძის ქუჩა სავსეა წარსულისაგან შემორჩენილი, მართალია ჯერ კიდევ მიტოვებული, ბრწყინვალე შენობებით. მიხარია, რომ ვუყურებ სარესტავრაციო სამუშაოებს ქარვასლაში, როგორ ასუფთავებენ და ალამაზებენ ბალებს, მაგრამ, ამავე დროს, ვხედავ, როგორ აღიმართა საშინელად უგემოვნო შენობა კათოლიკური საკათედრო ეკლესიის უკან, როგორც მოწმე სამარცხვინო უახლესი წარსულისა. რა უშლის ხელს მის დანგრევას? ანდა რადა ვთქვათ გაბესაძის ქუჩაზე, იმავე ეკლესიის წინ მდებარე იმ შენობაზე, რომელიც დღითიდლე იზრდება?

ნუთუ ქალაქის ისტორიული ცენტრის, ერის სიამაყის რესტავრაცია არ იყო მთავარი მიზანი ქალაქის ხელისუფლებისა? როგორ დაუშვა ძეგლთა დაცვის კომისიამ, რომ ეს და მსგავსი არქიტექტურული სიმახიანე 1800-იანი წლების არაჩვეულებრივად რესტავრირებული ნაგებობის გვერდით აეშენებინათ. ალბათ, საქმე კომისიის შეცდომასთან (გამოუსწორებელი?) გვაქვს, სხვა რამეც არც მინდა ვიფიქრო...

და კიდევ ერთი, რა შუაშია ის ორი ხელოვნური ხე, ფანტასმაგორული სინათლეებით, რომელიც ქალაქის მერიის შესანიშნავი შენობის წინ დგას იმ მოედანზე, რომელსაც ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდა თავისუფლება და სილამაზე?

სად გაქრა განთქმული ქართული შემოქმედებითი სული და ჯანსაღი გონება?

ივან მარტინი

ინფორმაცია

სიწმიდეების გადაცემა ვატიკანმა საქართველოს საპატრიარქოს სიწმიდეები გადასცა

ვატიკანი საქართველოს საპატრიარქოსა და პირადად მისი უწმიდესობის მიმართ, განსაკუთრებული სიმპათიებით გამოირჩევა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი იყო, მსოფლიო მასმედიის უურადღების ცენტრში მოექცა უპეცენდენტო შემთხვევა, როდესაც რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ მასთან ვიზიტად მყოფი ილია მეორე კიბეგბზე ჩამოაცილა. მსგავსი პატივი რომის პაპებს არც ერთი მღვდელმთავრისა და სახელმწიფოს

მეთაურის მიმართ არ გამოუჩენიათ. იოანე პავლე მეორე ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და მის ვიზიტს საქართველოში, განსაკუთრებით, სვეტიცხოველში ერთობლივ სტუმრობას.

ვატიკანისა და საქართველოს საპატრიარქოს კარგ ურთიერთობებზე ნათლად მეტყველებს ის კეთილმეგობრული ჟესტი, რომელსაც წმიდა საყდრის მიერ საქართველოს ეკლესიისადმი საჩუქრად გაცემული სიწმიდეები ცხადყოფენ. ასევე, ქართველ ოქრომჭედელთა და ხატმწერთა მიერ შექმნილი სარიტუალო ნივთები და ხატები, რომლებიც ვატიკანს ამშვენებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ამ სამიოდე წლის წინ ვენეციის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიისადმი საჩუქრად გაცემული წმ. ანდრია პირველწოდებულის წმ. ნაწილები გახდათ. როგორც ცნობილია, წმ. ანდრია მოციქული საქართველოს განმანათლებელია და წმ. საყდარმაც მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ამ უპირველესი წმიდანის ნაწილი ქართველი ქრისტიანებისათვის გადაეცა სამუდამო მფლობელობაში.

სულ ახლახანს, ვატიკანმა კიდევ ერთი ამგვარი საჩუქრარი გადასცა საქართველოს ეკლესიას. იტალიაში ვიზიტის დროს საპატრიარქოს წარმომადგენლებს წმიდანთა ნაწილები უბოძეს სამუდამო სახსოვრად.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ამ ვიზიტის შესახებ „საბას“ მომდევნო ნომერში მოგაწვდით.

ნუგზარ ბარდაველიძე

საპრეზიდენტო არჩევნების წინ რელიგიათა საბჭოს წევრები შეხვდნენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს

8 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ რელიგიათა საბჭოს რიგარეშე სხდომა გაიმართა. საქართველოში მოქმედი რელიგიურ გაერთიანებათა ლიდერები შეხვდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან თარხნიშვილს. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

სხდომის დაწყების წინ მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1987 წლის 8 დეკემბერს სპიტაკის მიწისძვრის დროს დაღუპულთა ხსოვნას. ამ ტრაგიკული მოვლენის 20-ე წლისთავის გამო სხდომის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს საქართველოში მოქმედი სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებმა.

სხდომა გახსნა საქართველოს სახალხო დამცველმა, ბ-ნმა სოზარ სუბარმა და მადლობა გადაუხადა რელიგიათა საბჭოს წევრებს მობრძანებისათვის.

ცსკ-ის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან თარხნიშვილმა სხდომის მონაწილეებს მოკლედ და ამომწურავად გააცნო საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ქვეყნაში შექმნილი ვითარება. მან სასულიერო ლიდერების უურადღება გაამახვილა იმ შრომატევად საქმიანობაზე, რაც განახორციელა ცსკ-მ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ასევე, შეეხო იმ დაბაბულ პოლიტიკურ ფონს, რომელიც თან ერთვის წინასაარჩევნო მარათონს. ლევან თარხნიშვილმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ოპოზიციის კანდიდატების მხარდაჭერთა ნეგატიურ განწყობას, რომ მათი უმრავლესობა ემზადება არა 5 იანვრის არჩევნებისათვის, არამედ 6 იანვრისათვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ოპოზიციას წარმატების იმედი არა აქვს, წინასწარ თავს იზღვევს და სურს, თავისი შესაძლო წარუმატებლობა არასამართლიან არჩევნებს დააბრალოს. ასეთ როგორ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიური გაერთიანებების ლიდერებს, რათა მათ მოქალაქეობრივი სიმშვიდის მაგალითი მისცენ

საზოგადოებას და კიდევ უფრო არ დაძაბონ ქვეყანაში არსებული რთული კითარება.

ლევან თარხნიშვილის გამოსვლის შემდეგ ქრისტიანულ, ისლამურ და სხვა რელიგიათა და დენომინაციათა წარმომადგენლებმა მაღლობა გამოიქვეს სახალხო დაცველსა და ცსკ-ს თავმჯდომარის მიმართ და, თავის მხრივ, მზაობა გამოხატეს არჩევნებში მონაწილეობისათვის, რათა ჩვენმა საზოგადოებამ შეძლოს მშვიდ ვითარებაში, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, გააკეთოს სწორი და სამართლიანი არჩევანი.

ცსკ-ს თავმჯდომარეს მრავალ შეკითხვაზეც მოუწია პასუხის გაცემა, მათ შორის, თუ როგორ განხორციელდება ხმის მიცემა სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთში, სადაც მრავალი ათასი საქართველოს მოქალაქე იმყოფება. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის გამო, საარჩევნო უბანი მხოლოდ მოსკოვში ამოქმედდება. რელიგიათა საბჭოს ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეშფოთება გამოიტანა თბოზიციის წინასწარი განწყობის მიმართ, რომელიც ეხება არჩევნების შესაძლო გაყალბებასა და მის არასამართლიანად ჩატარებას. და, ასევე, 6 იანვრის მოსალოდნელი მანიფესტაციის გამო. ადამიანის აზრს გააჩნია მატერიალიზების უნარი და თუ მთელი საზოგადოება უნდობლობითა და აგრესიონ იქნება განწყობილი, არ არის გამორიცხული, რომ ამ შეშფოთებამ და ეჭვმა რეალური განხორციელება პპოვოს. ამიტომ, ასე რომ არ მოხდეს, აუცილებელია, არჩევნების სრული გამჭვირვალობა, საჯაროობა და ინფორმირებულობა, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი და უნდობლობა. მსგავსი შეხვედრები კი სწორედ ურთიერთგაბებასა და ნდობას ემსახურება.

ლევან თარხნიშვილმა გამოიტანა მზაობა, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების მიზნით ნებისმიერ დროს შეხვდება რელიგიათა საბჭოს წევრებს და, საერთოდ, რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებს. და რომ, მათ სწორ პოზიციაზე მნიშვნელოვნ წილად არის დამოკიდებული საზოგადოების განწყობა.

ნუგზარ ბარდაველიძე

კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიის შეხვედრა

სინოდის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელების მიზნით, საქართველოს კათოლიკე ეკლესიასთან შეიქმნა კულტურისა და ეკუმენიზმის კომისია. ანალოგიური კომისია, მართალია, მანამდეც არსებობდა, მაგრამ მისი წევრების რაოდენობა შეზღუდული იყო და გაწეული საქმიანობაც მცირე მასშტაბებს მოიცავდა. თანამედროვეობის მთხოვნილებების გათვალისწინებით, კულტურისა და ეკუმენიზმის კომისია გარდაიქმნა და გაფართოვდა, აქედან გამომდინარე, მკვეთრად გაიზრდება მისი მოღვაწეობის სპექტრიც.

კომისიი ორი მთავარი მიმართულებით იმუშავებს – კულტურული მექანიზრების შესწავლა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობები. მისასალმებელია, რომ კომისიის განახლებულ შემადგენლობაში მრავალი ცნობადი სახეა, როგორც კათოლიკე, ასევე, მართლმადიდებელი აღმსარებლობის ადამიანები (მწერლები, მეცნიერები, სასულიერო პირები), რომლებიც საქმით ამტკიცებენ, როგორც საკუთარი საქმიანობის, ასევე, მამულიშვილურ და მოქალაქეობრივ პოზიციას.

პირველ სხდომაზე მოხდა ახალი წევრების წარდგენა, შემდეგ საქმიანი ბჭობა წარიმართა. დაისახა მეტად საინტერესო სამომავლო ამოცანები, რომელთა წარმატებული განხორციელება სასიკეთო იქნება არა მხოლოდ

კათოლიკე ეკლესიისათვის, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოებისათვის. პირველ რიგში, ეს ახალ თარგმანებს შეეხება.

მეტად მნიშვნელოვანი იქნება უკვე გამოცემული წიგნების პრეზენტაციებიც. დღეს, სამწუხაროდ, წიგნი სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო არ არის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი, ამიტომ კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიაში შექმნილი ჯგუფი ახალგამოცემულ წიგნებს წარადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში; მოიძიებს ისტორიულ მასალებს, გადამუშავებს და მოამზადებს გამოსაცემად.

რამდენიმე წლის წინ წარმატებით ფუნქციონირებდა ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი. მისი ეგიდით ორი წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო შეხვედრა, ლიტერატურული სადამო და წიგნის განხილვა მოეწყო. ცენტრის ხელმძღვანელის, ბ-ნ მერაბ ლალანიძის რომში გამგზავრების შემდეგ, ცენტრმა დროებით ფუნქციონირება შეწყვიტა. კომისიამ გადაწყვიტა მომავალი წლიდან განაახლოს მისი საქმიანობა.

ცხადია, ყველა დაგროვილ პრობლემაზე მსჯელობა კომისიის ერთ შეხვედრაზე ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ გადაწყდა შესხვედრებმა სისტემატური სასიათი მიიღოს, მოხდეს ჩატარებული საქმიანობის ანალიზი და შეფასება, რათა კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიის ფუნქციონირება შედეგიანი, საინტერესო და ამასთანავე მის წევრთათვის სახალისოც გახდეს.

ნუგზარ ბარდაველიძე

ქრისტიანული ბანაკების ახალი პერსპექტივები

ბაკურიანში, 14-20 ოქტომბერს, მოეწყო ქრისტიანული ბანაკების კოორდინატორთა შეხვედრა. ამ შეხვედრაზე ამიერკავკასიის ყველა ქრისტიანული თემისა და კონფესიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. კერძოდ, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან. ასევე, ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ უკრაინელი ქრისტიანებიც.

ჩვენი საუბარი შეხებოდა რელიგიას, ქრისტიანულ ბანაკებს, ახალგაზრდებს, მოზარდებს და ბევრ სხვა დღეისათვის აქტუალურ თემას. შეხვედრა საინტერესო იყო იმითაც, რომ ყველამ ერთმანეთს გავუზიარეთ საკუთარი გამოცდილებები და შთაბეჭდილებები.

ბალიან კმაყოფილი ვარ ბაკურიანში გატარებული დღეებით, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შეხვედრის ორგანიზატორებს.

ედუარდ აკოფიანი

განცხადება

1 იანვარი – მშვიდობის დღე. ვილოცოთ მსოფლიოში და საქართველოში მშვიდობისათვის!

18-25 იანვარი – ქრისტიანთა ერთობისათვის ერთობლივი ლოცვის კვირეული. გთხოვთ, შემოუერთდით ჩვენს ლოცვებს

27 იანვარი – წმ. ნინოს ხსენების დღე. შევთხოვთ მას მფარველობა და რწმენის სიმბიოცე. ვილოცოთ, ასევე, საქართველოში მოღვაწე წმ. ნინოს კონგრეგაციის მონაზვნებისათვის, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ საქართველოში.

განუსვენე მათ, უფალო!

საბედა ველიჯანაშვილი

* 17. 04. 1904 წ. ასპინძა

† 6. 11. 2007 წ. ხიზაბავრა

ნადია შუშაბერიძე-ხუციშვილი

* 1. 10. 1941 წ. გარგავი

† 24. 11. 2007 წ. ხიზაბავრა

ზურაბ ივანიშვილი

* 16. 10. 1951 წ. ხიზაბავრა

† 6. 11. 2007 წ. ხიზაბავრა

სარჩევი

ეპისკოპოსის მილოცვა

რედაქციის გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ეპუმენური გვერდი

ისტორიის ფურცლები

სულიერება

სოციალური პრობლემები

ინფორმაცია

საგანგებო ჩანართი:

ქრისტიანული სიმბოლოები

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ნუგზარ ბარდაველიძე

ნატო ბიგვავა

ვერიკო ნოზაძე

მერაბ ლალანიძე

ზაზა შათირიშვილი

ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4

ტელ.: 98-95-16

რეგისტრაციის № 1853

დაარსდა 1994 წ.

მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2008

ქრისტიანული სიმბოლოები
საგანგებო ჩანართი

კვალი, ნაფეხურები, ორა

საგანემდე ბედნიერად მიღწევა ქრისტიანებთან გემის გარდა გამოიხატებოდა ადამიანის ფეხების ან ნაფეხურების გამოსახულებით. ისინი წარმართულ წარწერებში გვხვდება, როგორც ცხოვრების განვლილი გზის სიმბოლო. იგი დაკავშირებულია ისიდასთან, ვენერასთან და სხვა ღმრთაებებთან, ამიტომ ეგვიპტიდან უნდა იყოს წარმოშობილი. მიუნტერი და ლეგრონი ამ გამოსახულებას ისიდას უკავშირებენ მრავალ მსგავს ძეგლზე დაყრდნობით. ასევე, ითვლება, რომ ეს გამოსახულება წარმართობაში შეესაბამებოდა ფორმულას: ყაზონ ენტაუზა – მე მოვედი აქ. სხვადასხვა მიმართულებით გამოსახული ნეფეხურები აღნიშნავდნენ: salvus ire, salvus redire (წადი უვნებელი, დაბრუნდი უვნებელი).

ახლაც მომლოცველები მოლოცვილ ადგილზე თავის კვალს ტოვებენ: ყაზონ ენტაუზა. ქრისტიანები ამ სიმბოლოს იყენებენ იმ ფორმულებთან, რომლებთანაც გემს.

წარსული კვალის სიმბოლური მნიშვნელობა მოგვაგონებს გემს, რომელიც მიემართება საფლავიდან ზეციური სამეუფოსკენ. ეს გამოსახულება დაკავშირებულია ფორმულასთან – uixit Deo.

სახლი

ეს სიმბოლო დაკავშირებულია დროის მიმდინარეობასთან. წარმართებთანაც სახლის გამოსახულება შეესაბამებოდა გამოთქმებს – *topos* (ადგილი, ქვეყანა) და *domus* (საფლავის მნიშვნელობით). არსებობს ამის დამადასტურებელი ძველბერძნული საფლავის წარწერები. *topos* და *domus* ერთნაირი მნიშვნელობით გადმოვიდნენ ქრისტიანობაშიც. ქრისტიანისათვის ეს გამოსახულება დაკავშირებულია საფლავის იდეასთან და ხშირად მას გამოსახავდნენ ზემოთხესენებული სიტყვების ნაცვლად. მალე სახლის სიმბოლიკის მნიშვნელობა შეიცვალა, რადგან II საუკუნის წერლები მას განმარტავდნენ, როგორც ეკლესიის სიმბოლოს.

უურძნის ლერწი, ვაზი, η αμπελος

ამ სიმბოლოს საფუძველი სახარებაში უნდა ვეძიოთ, თვითონ მაცხოვარი საუბრობს თავის თავზე, როგორც ვაზის ლერწი (იოანე 15, 1-5).

რომის გამოქვაბულში აღმოჩენილია საინტერესო ლამპა, რომელზეც გამოსახულია: შუაში – კეთილ მწერებს მიჰყავს ცხვარი, გარშემო კი – უურძნის მტევნები, რაც ნათლად მიანიშნებს ვაზის კავშირზე ქრისტესთან. გამოქვაბულების კედლის მხატვრობაშიც იგივეს ვხედავთ. მრავლადაა გამოსახული უურძნის არების სცენები. ანდა ფრინველები, რომლებიც უურძენს კენკავენ – ორივე შემთხვევა სიმბოლურად გამოხატავს ღმრთაებრივი სწავლების ნაყოფს. წმიდა კლიმენტი ამბობს: „ვაზი გვაძლევს ღვინოს, როგორც სიტყვამ მოგვცა თავისი სისხლი“.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ეს სიმბოლო უპირატესად დაკავშირებული იყო წმიდა ზიარების საიდუმლოსთან. ამიტომაც გამოსახავდნენ მას ძირითადად ზემოთმოყვანილი მსგავსად. ასეთი გამოსახულებები საშუალებას გვაძლევს კარგად გავიაზროთ ამ მთავარ სიმბოლოსთან დაკავშირებული სიმბოლოები: მტევნი თასი კასრი.

რადგანაც ყურძნის სიმბოლურიმნიშვნელობა თავდაპირველად დაკავშირებულია ქრისტესტან და მის მოწაფეებთან, მისი შემდგომი მნიშვნელობა დაკავშირებული უნდა იყოს ეკლესიასთან. სწორედ ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელობით ვხედავთ ამ სიმბოლოს წარწერებზეც, სადაც გამოხატავს საყოველთაო ფორმულას *in fide* (სარწმუნოებაში). 339 წლის წარწერაზე ვაზი გამოხატავს ამ გამოთქმას, როგორც ფორმულის *in pace at in fide*-ს დამტებას.

ყურძნის მტევნები მთხვეციანი მისამართის ეკისკოპოსი ოპიენტი ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევს არა მთლიან ვაზს, არამედ მხოლოდ მის ნაყოფს. ამრიგად, მტევნები წარწერებზე შეიძლება ჩავთავალოთ ან *in pace*-ს ნაცვლად, ან ინ Christo-სი. ყურძნის მკენკავი ფრინველის გამოსახულება უნდა აღნიშნავდეს წმიდა ზიარებას.

ამ ტიპის ყველაზე საინტერესო გამოსახულება არის ავრელიუს ვენერანდის საფლავის ფილაზე. მარცხნივ სასწორი და გირებია გამოსახული, როგორც გარდაცვლილის საქმიანობის აღმნიშვნელი, მარჯვნივ – ფრინველი კენკავს მტევნები – ზიარების სიმბოლო; მასთანაა გამოსახული სამკუთხა ფორმის ფოთოლი, რომელზედაც სამი ვარსკვლავია – წმიდა სამების სიმბოლო, მით უმეტეს, რომ აქამდეც გვხვდებოდა სამკუთხედი ამავე მნიშვნელობით. მთელი გამოსახულება, როგორც ჩანს, გამოხატავს ფორმულას: *in pace Trinitatis* (სუფეცა სამებაში).

თასი. ყურძნის არებისას გამოსახულებებზე ჩვენ ვხედავთ ჭურჭელს, რომელშიც აგროვებენ ყურძნისაგან გამოწურულ წვენს. ვაზის სიმბოლურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ეს ჭურჭელი ისევე აუცილებელია, როგორც ბარძიმი ზიარებისას. წმ. კალისტეს გამოქვაბულში ფრესკებზე არის იესოს სიმბოლური გამოსახულება – თევზი, რომელსაც მოაქვს კალათით პური და წითელი ღვინით სავსე ჭურჭელი. იმავე აზრით ეს ჭურჭელი გვხვდება ხან პურით, ხან ღვინით სავსე, რათა მიუთითონ, რომ ეს არის არა მხოლოდ ხელობის აღმნიშვნელი გამოსახულება. მას ხანდახან ატავსებენ სვეტზე ან ნაქარგიან სადგამზე.

გორდიანეს გამოქვაბულში ფილაზე წარმოდგენილია ორყურიანი ყურძნით სავსე თასი, მის მახლობლად ორ მტევნებს კენკავენ ჩიტები; ქვემოთ წარწერაა: Martinus *in pace*. აქეე გვხვდება ყოველგვარი წარწერის გარეშე გამოსახულება: ორი ფრინველი თასის აქეთ-იქით ზის, თასში წერია ქრისტეს მონოგრამა. ქრისტეს მონოგრამის თასში გამოსახვა ხშირიმოვლენაა: მტრედები ხან მოფრინავენ, ხან სვამენ მისგან. ყველა გამოსახულებაზე მას აქვს ზიარების სიმბოლოს მნიშვნელობა.

პური ი ართი

წარწერებზე უკვე ვნახეთ, რომ პურიანი ჭურჭელი ზიარების სიმბოლოა. ამ სიმბოლოს წარმოშობაც უკავშირდება მაცხოვრის სიტყვებს (იოან. 6, 48-50). აქ ნატელია „ცოცხალი პურის“ კავშირი ზიარებასთან და ზეციურ სასუფეველთან. ამ მნიშვნელობით ათავსებდნენ ქრისტიანები პურს თავის წარწერებზე. ძევლი ჩვეულებით ისინი პურს ოთხად ან ექვსად გაჭრილს ხატავდნენ. პურის ჯვრისებრი გაჭრა ჩვეულებად პქონდატ ძველ რომაელებს, რათა მისი დამტვრევა იოლი ყოფილიყო. პურის ჯვრის ფორმით დაჭრას ქრისტიანები უკავშირდებენ ქრისტეს ჯვარს. თვითონ პურის დატეხვის პროცესი ნიშნავს ტრაპეზს.

მწყემსი ი თიმην

უძველეს ხელოვნებაში ხშირად გამოსახავდნენ ადამიანის ფიგურას ბატქით მხრებზე. ეს გამოსახულებები იმდენად გავრცელდა, რომ მორწმუნეთათვის სრულიად გასაგები და თვალნათლივ აღსაქმელი იყო მაცხოვრის სიტყვები კეთილი მწყემსის შესახებ (ითა. 10, 2; ლუკ. 15, 4-5).

238 წლის რომაულ წარწერებზე გვხვდება ასეთი მწყემსის გამოსახულება, თუმცა იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ამ სახის უძველეს ძეგლად. ამგვარად, ამ სიმბოლოს წარმოშობა უნდა მივაკუთვნოთ მეორე საუკუნის დასაწყისს. ტერტულიანეც ადასტურებს, რომ მის დროს ეს სიმბოლო უპავ აღარ იყო ახალი, არამედ საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული იყო.

გარდა ბატქინიანი მწყემსის გამოსახულებისა არსებობს კიდევ სხვა გამოსახულებებიც: მწყემსი, რომელიც ტყეში უკრავს სალამურს და მჯდომარე მწყემსი, რომელიც ბატკანს ეფერება.

იმ გამოსახულებებზე, რომლებზეც არ არის არანაირი წარწერა გარდა გარდაცვლილის სახელისა. მწყემსი აღნიშნავს ინ პაცე ჩრისტი, რადგან აქ იპოვა ქრისტემ ბატკანი და გადაარჩინა. სხვაგან იგი აღნიშნავს ინ ფიდე ჩრისტი, რადგან აქ ქრისტეს ეკლესის მეთაურის მნიშვნელობა აქვს. ამგვარად, აღდგომის დოგმატზე მინიშნებით პირველი ქრისტიანები ხსნიან კეთილი მწყემსის სიმბოლური გამოსახულების მნიშვნელობას.

რადგან მწყემსი გამოხატავს აღდგომის დოგმატს, მას შეიძლება მივაკუთვნოთ ყველა ამ თემაზე არსებული ფორმულა. აღდგომიდან ზეციურ სასუფეველზე გადასვლა ქრისტიანებმა დამატებითი სიმბოლოები შექმნეს. მწყემსის გვერდით გამოსახავდნენ ხეს.

კეთილი მწყემსის გამოსახულება ძალიან ჰგავს ორფეოსს, რომელიც უკრავს სირინქსზე (ჩასაბერი ინსტრუმენტი) და მის გარშემო სხვადასხვა ცხოველები შეკრებილან. ასეთი მსგავსება ძველმა ქრისტიანებმაც შენიშნეს. ერთ წარწერაზე გამოსახულია მწყემსი ბატქით, მის გარშემო კი – სხვადასხვა ურჩხულები. ისინი შესაძლოა აღნიშნავდნენ ვნებებსა და ცოდვებს, რომელთაგანაც ქრისტემ იხსნა ბატკანი.

კეთილი მწყემსის გამოსახულება გვხვდება ყოველთვის ერთი და იმავე სამოსში. ქიტონი აქვს წელზე შეკრული და მუხლებს ზემოთ აწეული, რათა სიარუილში ხელი არ შეუმალოს. ზემოდან აცვია მოკლე ლაბადა, რომელიც გამოიყენებოდა მოგზაურობისას ცუდი ამინდისაგან დასაცავად. ფეხებზე მაღალი ფეხსაცმელი, რომელსაც ატარებდნენ მონადირეები და ისინი, ვისაც ბევრი სიარული უწევდა. იგი წინიდან ზონრებით შეკრული შემოეტმასხება თითქმის მთელ ფეხს მუხლამდე. მწყემსს ხელში სწორი, ან თავმოკაკული კვერთხი უჭირავს, ასევე ჭურჭელი, რომელშიც ცხვრებს წველიდნენ. ეს სამოსი იმდენად ტიპური გახდა მისთვის, რომ სხვაგვარად გამოსახული ვერც წარმოედგინათ.

კვერთხი. მოხრილი კვერთხი იმდენად აუცილებელი იყო სასოფლო და სამწყსო მოღვაწეობისათვის, რომ წარმართები კვერთხით გამოსახავდნენ მინდვრის ან ფარის ყველა დმრთაებას., სამწყემსო პოეზიის მუზას – თალიასაც კი. ასეთი კვერთხი არა მარტო ფარის მწყემსვაში ეხმარებოდა მწყემსს, არამედ სანადიროდაც გამოიყენებდნენ მას.

რომის კატაკომბებში აღმოჩენილ თიხის ლამპაზე ჩანს, თუ როგორ გამოსახავდნენ მოღუნულ კვერთხს. ლამპის ქვედა მხარეზე გამოსახულია კვერთხი ასო X-თან და ქმნის ქრისტეს მონოგრამას. ასეთივე მონოგრამას გხედავთ ქველ გემაზე, რომელზედაც ამოკვეთილია თევზი და პალმის რტო, მათ ზემოთ კი – კვერთხი.

რძის ჭურჭელი. ქრისტიანულ სარკოფაგებში ხშირად გვხვდება მწველავი მწყემსის გამოსახულება. წმ. კალისტეს გამოქვაბულში გამოსახულია ორი ბატკანი, რომელთა გვერდით არის მოღუნული კვერთხი და ზედ პირია რძიანი ჭურჭელი. ბოტარის აზრით, რძიანი ჭურჭელი ხანდახან გაზაფხულის სიმბოლოდ გამოიყენებოდა და ამ მნიშვნელობით იგი აღდგომის დოგმატის მიეკუთვნება. სავარაუდოა, რომ საფლავის წარწერებზე იგი სწორედა ამ მნიშვნელობითაა გამოსახული. მაგრამ გამოსახულების უხარისხობის გამო შეუძლებელია განვსაზღვროთ, თუ რომელი ჭურჭელია მწყემსის multitra ან ზიარების ბარძიმი. მეცნიერებს უნდოდათ, რომ რძიანი ჭურჭელი წმიდა ზიარების სიმბოლურ მნიშვნელობად მიეღოთ იმ საფუძველზე, რომ წმ. პეტრენტუა თავის ჩვენებაში სწორედ მჟავა რძით ეზიარა, რომელიც მას მწყემსმა მიაწოდა.

ფლეიტა. ძველ ქრისტიანულ გემაზე მკვეთელმა მოათავსა კეთილი მწყემსის ხელზე ფლეიტის ნაცვლად დუზა. ასეთი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ თანაბარმნიშვნელოვანი სიმბოლოების შემთხვევაში ე. ი. ლერწმის ფლეიტა აღნიშნავდა იმედსა და სასოებას.

ფარები. ხანდახან მწყემსი გამოისახებოდა ფარიდან ფარებში დაბრუნებული. საყურადღებოა თვით ფარების აგებულება. საერთოდ მიღებული გამოთქმის, tugurium, თანახმად ფარები უნდა გამოესახათ ჩალით ან ხის ქერქით გადახურულ ხის ღარიბულ შენობად. სამხრეთის კლიმატის გამო ფარებად კლდის გამოქვაბულსაც იყენებდნენ.

წმ. პეტრეს ტაძრის გათხრების დროს აღმოჩენილ სარკოფაგზე ფარები გამოსახულია, როგორც დიდი ქვებით აშენებული შენობა. ორი სკეტით დამაგრებული ფრონტონით. თითქმის იგივე არქიტექტურა გვხვდება წმ. მარცელინის გამოქვაბულის ერთ-ერთ ოტახში. ასეთი ცხადი და წინასწარგანზრახული გადახვევა ფარების ჩეგულებრივი ხედიდან მიუთიტებს, რომ ქრისტიანები ასეთი შენობის გამოსახვისას, მათ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მოციქულთა დადგენილებებში ეკლესია შედარებულია არა მხოლოდ გემთან, არამედ ფარებტანაც. ასეთი განმარტების გამო მხატვრები გამოისახავდნენ ფარებს დიდებულ შენობად. ისინი ხელმძღვანელობდნენ იმავე აზრით, რომლითაც რომაულ მოზაიკებში გამოსახავდნენ იერუსალიმისა და ბეთლემის კედლებიდან გამომავალ ცხვრებს. აქერცხსალიმი და ბეთლემი ეკლესიის სიმბოლოებად გვევლინება, როგორც სარკოფაგებზე ფარები.

ბატკანი, კრავი. 359 წლის სარკოფაგზე გვაქვს მაგალითი კრავის სიმბოლოს სხვადქასხვა მნიშვნელობისა, რომლებიც უკვე მეოთხე საუკუნის შუა წლებიდან დადგინდა. ძველი და ახალი აღთქმის მოვლენების გამოსახულებების გამყოფი კოლონის თავზე გამოსახულია ასეთივე მოვლენები, მაგრამ წმიდანთა ნაცვლად აქ სხვადასხვა ზომის კრავებია. მაგალითად, კრავი ურტყამს კვერთხს კლდეს, რომლიდანაც წყალი ამოსჩქეფს, შემდეგ კრავი კვერთხით ეხება პურის კალათებს და ამით გამოხატავს სასწაულებრივ გამოკვებას უდაბნოში.

მეექვსე საუკუნიდან კრავის სიმბოლომ მიიღო ძალზე ფართე მნიშვნელობა. იგი გამოხატავს არა მხოლოდ მაცხოვარს, არამედ მოსეს, იოანე ნათლისმცემელს; იუდეველი ხალხიც ამ სახით წარმოგვიდგება, აქედან დასკვნა, რომ კრავის სიმბოლოში გულისხმობდნენ მაცხოვარს, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს, მოციქულებს (სარკოფაგებზე ყოველი მოციქულის ფეხებთან დგას კრავი) და საერთოდ, მართლებს. ამ უკანასკნელი მნიშვნელობიდან წამოვიდა გამოთქმა agnus Dei (ღმრთის კრავი), როგორც მართალთა აღმნიშვნელი. მას წერდნენ გარდაცვლილთა ფილებზე. ასეთი გამოთქმები მხოლოდ კრავის გამოსახულებითაც გადმოიცემოდა. მოგვიანებით

კრავთან მწყემსის ნაცვლად ჯვარს გამოსახავდნენ. ორი კრავი ხშირად აღნიშნავს მეუღლეების საფლავს. კრავი, რომელიც ჭამს ფოთლებს არის მინიშნება ზეციურ საკვებზე და ცხოვრებაზე. კრავი ბეჭედზე ნიშნავდა, ან მაცხოვარს, ან სიტყვა „ქრისტიანს“. ზოგიერთ საფლავის ქვაზე ვხედავთ მლოცველი ადამიანების ფიგურას, რომლებიც პალმებს შუა დგანან და მათ უყურებელ ბატკნები, ეს უნდა ნიშნავდეს გამოთქმას – სამოთხეში წმიდანთა შორის.

ხე

უნდა განვასხვავოთ სხვადასხვა ჯიშის ხეები, რადგან არაზუსტი გამოსახვისას ვერ გავარკვევთ მათ განსხვავებულ ხასიათებს.

საერთოდ, ხეები არიან სამოთხის სიმბოლოები. მათი ეს მნიშვნელობა ყოველი მათგანის გამოსახვისას ნარჩუნდება. ქრისტიანულ წარწერებზე გვხვდება მწვანე და გამხმარი ხეები ერთად. ასეთი გამოსახულებები წარმართობაში იყო ძირითადად ვაზებზე. ქრისტიანობაში კი მათ შეხვდებით ნათლობის სცენის გარშემო, როგორც ჩანს, ახლად დაბადების სიმბოლოს მნიშვნელობით. ავილეის ფილაზე გამოსახულია ადამიანი ემბაზში, რომელზედაც სული წმიდა გადმოდის მტრედის სახით. ემბაზის გვერდით აქეთიქიდან ორი ფიგურა დგას. მათ უკან, მარცხნივ გამხმარი ხეა, ხოლო მარჯვნივ – მწვანე. აქ ხეები აღნიშნავენ ცოდვილი ცხოვრების სიკვდილს და ახალი ცხოვრების დაბადებას. ასეთი გამოსახულებები მრავლადაა ტრირის წარწერებზე. რომაულ წარწერებში კეთილი მწყემსი ასეთ ხეებს შორის უნდა აღნიშნავდეს აღდგომასაც და ზეციურ სასუფევლსაც, რომლისთვისაც ტავიდან იბადებიან ნათლობის მეშვეობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პალმა და მასტან დაკავშირებული ფრინველი ფენიქსი, ზეთისხილი, კვიპარისი და სხვა წიწვოვანი ხეები.

პალმა. რომაელებისა და ბერძნების გამარჯვების სიმბოლო ქრისტიანებთანაც იგივე მნიშვნელობით გადმოვიდა, მაგრამ მიწიერ გამარჯვებასტან ერთად ის ნიშნავდა სულიერ გამარჯვებასაც, ანუ სიკვდილზე გამარჯვებას. პრისკილას გამოქვაბულის წარწერაზე ვხედავთ ოევზე – მორწმუნე ქრისტიანის სიმბოლოს, რომელსაც პირით მოაქს გვირგვინი. საერთოდ, პალმის რტო იმდენად ჩვეულებრივი სიმბოლო გახდა, რომ გამომწვარი თიხისაგან აკეთებდნენ პალმის ფორმის ტვიფრებს. იგივე დამოკიდებულება იგრძნობა პალმაზე მჯდომი ფენიქსის მიმართ.

ვენიქსი. ზღაპრული ფრინველი ფენიქსი აღმოსავლური წარმოსახვის ნაყოფია. იგი ხშირად გვხვდება ამ ქვეუნების ძეგლებში და პერიდოტედან მოყოლებული, რომაელ და ბერძენ მწერლებთან. ბოშარტის აზრით, ფენიქსი იყო იუდეველებთან ცნობილი სახელით – შულ და რაბინების განმარტებით ითვლებოდა უკვდავდა, რადგანაც სამოთხეში არ ჭამდა ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტის ნაყოფს.

ეგვიპტიდან ფენიქსის შესახებ ლეგენდა გადავიდა რომში და იქაც ეს ფრინველი უკვდავების სიმბოლოდ იქცა. ამ მნიშვნელობით მას გამოსახავდნენ რომაულ მონეტებზე. მაგალითად, ადრიანეს (117-138 წ.წ.) დროს ტრაიანეს საპატივსაცემოდ გამოშვებული მონეტები.

პირველად 385 წელს ვხვდებით რომის ქრისტიანულ წარწერებში ფენიქსის გამოსახულებას. მაგრამ ქრისტიანებთან ამ სიმბოლოს მიღება და დამკვიდრება მესამე საუკუნის დასაწყისს ან უფრო ადრეულ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. წმ. კლიმენტი თავის წერილში რომაელი ეპისკოპოსისადმი ზუსტად არწერს ფენიქსს და მია აღდგომას. ტერტულიანემ თავის თხზულების „სხეულის

აღდგომის „შესახებ“ (207 წ.) მეცამეტე თავი მთლიანად მიუძღვნა ფენიქსის სასწაულებრივად აღდგომას.

ამ ძველმა სიმბოლომ ქრისტიანობაში მარადიული სიცოცხლისა და არდგომის მნიშვნელობა მიიღო. 230 წელს წმ. ცეცილიას ცხოვრებიდან ვხედავთ, რომ სწორედ ამ მნიშვნელობით გამოხატავდნენ ფენიქსს ქრისტიანები სარკოფაგებზე. აქ მოთხოვობილია, რომ წმიდანმა ნახა წამებულების: მაქსიმინის, ვალერიანისა და ტიბურტიის სარკოფაგებზე ფენიქსის გამოსახულება, რომლის გამისახვაც მაქსიმინმა ითხოვა თავისი აღდგომის ნიშნად. აქედან გამომდინარე, ფენიქსი ხატობრივად გამოსახვდა აღდგომასტან დაკავსირებულ ყველა ფორმულას.

ზეთისხილი. ტერტიულიანები თქვა: „ცნობილია, რომ წარმართებთან ზეთისხილის რტო მშვიდობის ნიშანი იყო“ (ნათლობის შესახებ, VIII თავი). იგივე მნიშვნელობა შეინარჩუნა მან ქრისტიანობაში და, როგორც ზემოთ ვანახეთ, მისი გამოსახულება გვხვდება ყოველთვის ნოეს კიდობანთან და მტრედთან.

კვიპარისი და სხვა წიწვოვანი ხეები. კვიპარისი და, საერთოდ, წიწვოვანი ხეები იმქვეყნიურ, გლოვის ხეებად ითვლებოდნენ და დასავლავების ნიშნად გამოისახებოდნენ. ისინი ძალიან იშვიათად გვხვდება საფლავის ქვებზე და უმთავრესად ფორმულების გარეშე, ამიტომ ზუსტად არ არის დადგენილი თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მას ქრისტიანები.

გვირგვინი στεφανος

ძველ დროში პქონდათ ჩვეულება დღესასწაულებზე გვირგვინებით მოერთოთ თავები და შენობები. ახალი ადოქმის წიგნებში გვირგვინი გამარჯვებისა და ჯილდოს სიმბოლოა. ამ მნიშვნელობით მოხსენიებულია: სიმართლის გვირგვინი (ტიმ. 4, 8), დიდების გვირგვინი (1 პეტრ. 5, 4) და სიცოცხლის გვირგვინი (იაკობ. 1, 20).

ასეთი გვირგვინებით დიდებისა და გამარჯვების ნიშნად რთავდნენ ქრისტეს მონოგრამას. ასეთი გვირგვინების მნიშვნელობას ნათლად ვხედავთ, როცა მტრედებს სიმართლის ან სიცოცხლის გვირგვინი მიაქვთ გარდაცვლილთან, ანდა როცა თევზს უჭირავს პირით იგი გარდაცვლილი მართალისათვის ჯილდოდ. ჩვეულებრივ, გვირგვინი გამოისახებოდა ფორმულა in paces-ს წინ, ასე გამოხატავდა იგი ზეციურ სასუფეველს – in pace aeterna. ასევე ხშირად წერდნენ მასში ქრისტეს მონოგრამას და ნიშნავდა – in pace Christi.

ბოლოს, ჩვენ გვხვდებით გვირგვინს, როგორც ქორწინების საიდუმლოს სიმბოლოს. ამგვარი სიმბოლოზე მიზეზი თვით ქორწინების წეს-ჩვეულებაშია, რომელიც სრულდება საქორწინო გვირგვინების დადგმით ნეფელების თავზე. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული ფორმულების ბუნდოვანების ფონზე, გამოსახულებები უფრო ნათლად გამოსახვდნენ მათ მნიშვნელობას.

ფარშევანგი ო τავს

ფარშევანგი წარმართული სიმბოლოა და უკვდავებას აღნიშნავს. ამ ფრინველის სიმბოლური მნიშვნელობა დაფუძნდა რწმენაზე, თითქოს მისი ხორცი უხრწნელი იყოს. ამიტომაც პითაგორა უდიდესი მწერლების სულს ფარშევანგში ასახლებს. ზოგიერთი სწავლულისათვის არ იყო საკმარისი მხოლოდ ფარშევანგის ხორცის უხრწნელობის რწმენა, იმისათვის, რომ მისთვის ასეთი სიმბოლური მნიშვნელობა მიეცათ და გარუდობდნენ, რომ საერთოდ წრფ რომელიც ფარშევანგის კუდიდან კეთდება და წრედ დახვეული გველი

აღნიშნავდნენ უკვდავებას. კუდის ფორმას მიეწერება მისი სახელიც თავაც ბერძნები ამ ფრინველს იუნონას – ზეცისა და ვარსკვლავების ქალღმერთს უძღვნიდნენ და მის კუდს ვარსკვლავებით მოჭედილს გამოსახავდნენ.

ქრისტიანული სიმბოლოების ყველა მკვლებარი ფარშევანგს მიიჩნევს არდგომის სიმბოლოდ. თვითონ ძეგლებზე მისი გამოსახულების შესწავლით დასტურდება ასეთი მნიშვნელობა. ამასტან, ფარშევანგი დაკავშირებულია წელიწადის დროების ცვალებადობასთან. იგი არა მარტო გამოისახებოდა წელიწადის ოთხ დროსთან, არამედ იყო გაზაფხულისა და, კერძოდ, მაისის სიმბოლო. წმ. პრისკილას გამოქვაბულში ფარშევანგი გამოსახულია გაშლილი კუდით და მთელი გამოსახულება დაფნის გვირგვინშია ჩასმული (აღდგომა).

ფარშევანგი, როგორც აღდგომის სიმბოლო, გამოისახება იმ სიმბოლოებთან ერთად, რომლებიც სამოთხეს მიეკუთვნებოდნენ. წმ. აგნის გამოქვაბულში გამოსახულია ფარშევანგი ბურთზე ორ აალებულ ჭურჭელს შორის. ცეცხლი, როგორც ქროსტეს სიმბოლო მიანიშნებს paradisus lucis (სინათლის სამოთხე).

როგორც ვხედავთ, სიბოლოები მიუთითებენ ზიარების საიდუმლოს დამოკიდებულებაზე სამოთხესთან და აღდგომასტან. ამავე მნიშვნელობით ფარშევანგები გამოისახებიან წარწერებზე და კედლის მხატვრობაში.

როგორც ვხედავთ, პირველ ქრისტიანებს უამრავი სიმბოლური გამოსახულება ჰქონდათ. დროთა განმავლობაში მრავალმა მათგანმა მნიშვნელობა დაკარგა, ზოგიერთი კი ქრისტიანობაში დღემდე გამოიყენება, თუმცა არა იმ მნიშვნელობით (წარმართებისაგან საკუთარი მოძღვრების დამალვა) და არა ისე ხშირად.

ანდრია გაშაკიძე